

საზოგადოებრივი, სამეცნიერო და სალიბერალური ნახაზიანი გაზეთი; გამომდის ყოველ კვირა ღამე.

№ 21

მ ა ი ს ი 18 1897 წ.

№ 21

შინაარსი: ერობა და იმერეთის თავდაზნაურობის კრება 3.—გუჯუს თუ არა ჩვენ საზოგადოება? 4. ვაშაქისი.—სწვა-და-სწვა აშაგისი.—საბერძნეთ-ოსმალეთი მახაყალისა.—განცხვლი ლექსი, ეგლოშვილისა.—კრიტიკული შენიშვნები (შედეგი), დ. აღბანელი.—„კვალის“ კორესპონდენტები.—განზრახული თვალის ახევა დ—რა.—გავერით (გზა და გზა). ია. ვა-ლაქისი.—მეც თან წამოყვანეთ, აშაგისი მთის ქალისა.—წერილი რედაქციის მიმართ და ყურძნის განცხადება.

„კვალის“ ხელის მომწერლებს მოაგონებთ, ვისაც ფული არ შემოუტანიათ, დროზე შემოიტანონ.

თბილისი დედოფლის დიდი სურათი (ფერადი წამლებით) დღეს იქით გაიყვება „კვალის“ რედაქციაში 1 მ. 50 კ. (გასაგზავნი ფოსტის ხარჯი 30 კ.)

ბო გუბერნიებში იმდენათ დაცემულია, იმდენათ ვერ უძღვება ადგილობრივ ინტერესებს, რომ ამ მოცენას მიაქცია ყურადღება თვით სახელმწიფო საბჭომ, რომელმაც მისცა შინაგან საქმეთა მინისტრს წინადადება, რათა შეიმუშავოს შესაფერის ზომების პროექტი, რომელშიაც ნაჩვენებია იქნება, თუ როგორ უნდა შეიცვალოს ახლანდელი აღმინისტრაციული მართვა-გამგობა ერობას მოკლებულ გუბერნიებში და როგორ შეიძლება დახმარება ამ გუბერნიების გაჭირვებულ მცურენობისა.

როგორც ჩვენ ამას წინეთ ნათქვამი გვერდია, დღეს უფრობო გუბერნიებში ადგილობრივ საერო-ბო კითხვებს განაგებენ განმკარგულბეელი კომიტეტები. თვითონ ფინანსთა მინისტრის აზრით, ეს დაწესებულებანი მეთაფდათ ვერ ასრულბენ იმ მოთხოვნის საქმე არის ცოცხალი, ცვალებადი. ეს შემოსენბეული ორგანოები კი ჩაქაზრბეული არიან ვიწრო ფარგალში. იმათ არ შეუძლიათ გადაცილბენ სამი წლის ვადით შედგენილ საერობო ხარჯთ აღრიცხვას, მოკლებული არიან ყოველ გვარ თვით მოქმედბას და ინიციატივას, არ არიან დაკავშირბეული იმ გუბერნიებთან, რომელთაც ემსახურბიან, არ იცნობენ მათ გაჭირბეებას და, რასაკვირბეელია, ყველა ამ

ერობა და იმერეთის თავდაზნაურობის კრება.

წლებანდელი კრება იმერეთის თავდაზნაურობისა შესანიშნავი მრავალი მხრით. მან აღძრა და, ასე იყო თუ ისე, გამოარკვია არა ერთი კითხვა, რომელიც შეეხება ჩვენი ცხოვრების ძირითად საფუძველს. თქმა არ უნდა, რომ პირველი ადგილი ამ კითხვათა შორის უჭირავს ერობის საქმეს. ახლანდელი საქმის წარბოება უფრო-



მიზეზთა გამო ეს ჩინონიკების დაწესებულება საერო-ბო ცოცხალ საქმეს მკვდარ კანცლარულ ელფერს ადებს. ამის მაგალითი—თვით ქუთაისის გუბერნია.

დღე არ გავა, რომ ჩვენ ვაჭყებში არ წაიკითხოთ იმერეთიდან მოწერილი ამაგი, რომელიც ამტკიცებს იტარო მკვიდრთა დღევანდელ გაკრეხებას. არა ერთხელ იყო ნათქვამი, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის 1891 წლის განკარგულებამ, რომლითაც აკრძალულ იქმნა სიმინდის სასოფარ ვარეთ გატანა, საგრძნობელათ დასცა მთელი იმერეთის კეთილ-დღეობა. სიმინდო, რომელიც უწინ ფასობდა—ფუთით სამ აბაზიდან ერთ მანეთამდის — დღეს აბაზამდის დაწეულია. აშკარათ ჩანს, რომ ქვეყანას დიდი განასცდელი მოელის, თუ იგი თავის სტიქიანურ, ბუნებრივ მსვლელობას მიანებებს და დღიდან არ შეუდგენ სხვა-და-სხვა კულტურის შემოღებას. დაუმატეთ ამას სკოლების უქონლობა, გზების უყარვისობა, ექიმების სიმცირე და მაშინ დარწმუნდებით, რომ დღევანდელსავე თუ საქმე წავაღ, ჩვენ ვიქნებით მოწმე ჩვენი ხალხის უკიდურესობამდის გალატაკებისა. ამავე დროს ისიც გავსენეთ, რომ, როგორც ჩვენ ამას წინეთ გვიქონდა ნათქვამი, იმ 660,175 მან, რომელსაც ქუთაისის გუბერნია იხდის საერო-ბო გადასახადათ, მასზე იხარჯება მხოლოდ 333,912 მან., დანარჩენი კი სხვა გუბერნიებს ხმარდება. სწორეთ ვასაკვირი შოვლენა. ქვეყანა ამაზას, რომ გაკრეხებაში ვართ ჩავარდნილი, სიღარიბე კარზე მოვადგარო და იმავე დროს იმის შემოსავალით სხვა გუბერნიების მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ!

ერთი სიტყვით, იმას ლაპარაკი არ უნდა, რომ ახლანდელი საერო-ბო ორგანიზაცია ჩვენში ჩვენ გაკრეხებულ საქმეს ვერ გაუძღვება წაწ. ეს მოვლენა ერთგვარად მძიმეთ აწეება ყველა წოდებათა წარმომადგენელთ და სხვათა შორის თავად აზნაურობასაც. ამიტომ იგიც იძულებულია რაიმე ღონე იხმაროს, რათა უბედურობას თავი დააღწიოს. ამ წლის დამდევს შემდგარი კომისია იმ აზრს დაადა, რომ ჩვენთვის აუცილებლათ საქრობა იმგვარივე მართვაგამგეობა, როგორც არის შიდა რუსეთში, ესე იგი საქრობა, რომ ადგილობრივ საქმეებს განაგებდენ ამავე ადგილის მკვიდრნი. ესეც უნდა ითქვას, რომ ეს აზრი მართა იმერეთის თავად-აზნაურობას არ ეკუთვნია, ამავე აზრს ადვია ბეერი გუბერნატორები და საგუბერნიო კომიტეტები, რომელთაც ამ საგნის შესახებ დავითაზა შინაგანი საქმეთა სამინისტრო. მაგრამ ჩვენთვის მეტის-მეტათ სასახარულია ის არ-ს, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა ამ უკანასკნელ დროს დაადა ნამდელ მოკლაქობრივ გზას.

ასეთი დიდი მწიშნელობა აქვს მაღალ გონება-

განვითარებულ მეთაურს, ნამეტურ თუ იგი წნეობრივ მოთხოვნილებას ემორჩილება, ისეთ საზოგადოებაში, საცა ბეერი არ მოიპოვება იმ განვითარებული პირის გონებასიმაღლისა. მაგალითისთვის შორს აღარ წავალთ. ჩვენ ვგახსოვს, რომ იმერეთს თავად-აზნაურობას კრებაში ესევე კითხვები ერობის შემოღების შესახებ და ბეერი სხვა წარმატების მომასწავებელი ცვილილების პროექტები ამ ათა წლის წინათ იყო წარდგენილი ინტელუცენციის მეთაურთა მიერ სათავად-აზნაურო კრებაში, თვით საზოგადოებაც თანავარძობით მიეგება ასეთ საქმეს, მაგრამ რადან მაშინდელი თავად-აზნაურობის წინამძღოელი არ იყო იმდენათ განვითარებული, რომ შეეგნო მიუცილებელი საკრობა ერობის შემოღებისა, ამისათვის ის პროექტები დარჩენ უძრავათ და ჩაილულის წყალს გაჰყვენ. დღეს კი სულ სხვაა, როდესაც თავად-აზნაურობის მეთაური ქუთაისის გუბერნიისა თვით უმაღლესი განვითარებული და შეგნებული კაცია ამისთანა საქმეში. იმედიც არის, რომ ის ყოველ ღონისძიებას იხმარს, წრევერდელ ვადაწვეულებებს იმერეთის სათავად-აზნაურო კრებებისას შესაფერი მსვლელობა მისკს.

დადა ის დრო, როდესაც ჩვენმა ახლანდელმა გაკრეხებულმა მდგომარეობამ, ესე იგი საზოგადო საქმეების ცუდთ მსვლელობის მწუხარებამ და ეკონომიურმა უკიდურესობამ უნდა მოგვაგებინოს საზოგადო ასპარეზზე ისეთი კაცებო, რომელთაც გონების განვითარებასთან საქმაო წნეობრივი უბრკოებაც გამოუჩენიათ წარსულში. საქრობა, ასეთი კაცების ყოველ მოქმედების სფერაში წინ წამოყენება და არც იმთ დაჯილდოვებას უნდა შევეუშინდეთ, ოღონდ ჩვენი საზოგადო საქმეები ვაუმჯობესდეს, წარმატება დაეტყოს და წნეობრივად სისუსთავემ ასეთი მოღვაწეებისამ აღამაღლოს თვითონ ჩვენი საზოგადოების შეგნებაც.

ბ.

გვეყვს თუ არა ჩვენ საზოგადოება?

(ბ. გ. შაიაშვილის წერილების გამო).



საზოგადოების და მისი მოღვაწეობას მხილვება, ვადაკრებულთა რომ იყვენ, საფუძელია. მით უმეტეს მხ-ლება ჩვენი საზოგადოებისა, რომელიც ძლიერ ნორჩია, განვითარებით და ქვეითებულია და ამის გამო სწორათ საშინოთაც

ბორძიკობას, ბ. მაიაშვილი „მოამბის“ *) ნომერებში ერთკლათ არჩევს ქუთაისის და თბილისის სათავად-აზნაურო ბანკების ვითარებას. ქუთაისის ბანკის ცუდი და საშინო მდგომარეობის მიზეზათ ავტორს აქვს დასახელებული ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის უფიცობა, უპირობა და საზოგადო ინტერესების აზურათ ავდება. გარდა ამისა ბანკის ცუდ მდგომარეობას, ავტორის აზრით, ერთი მხრით ხელს უწყობს ქუთის ბრბო, რამელიც კენჭით და ძალ-მომრევობით ირჩევს ამა თუ იმ პირებს, მხოლოდ თვისი ინტერესებით აღჭურვილებს, მეორე მხრით უწყობენ ხელს თვით ინტელიგენტებიც, რომლებიც ამ უკანასკნელ ოცი წლის განმავლობაში უფრო დაეცენ ზენობით. ავტორმა საუცხოვრთ დააასათა საზოგადოების და ბრბოს სულის მოძრაობა და მისწრაფებანი. მიზეზთ კი ჩვენი საზოგადოების არა სასიამოვნო მდგომარეობა არ არის ერთკლათ გამოარკვეული, მაგრამ ეს არც ყოვილია ავტორის პირდაპირი მიზანი. ჩვენ ცოტათი შეეცხებით ამ მიზეზებს, რომლებსაც გამოუწვევია ჩვენი საზოგადოების არა სასიამოვნო მდგომარეობა და მოქმედება. ყოველ საქმეს უნდა თიადგი, მას საწარმოებლად საქირა პირობები. თიადლის და ქუთაისი რომ სამოღვაწო ასპარეზებთ ავილოთ, თიადლისი უფრო კარგ პარობებშია, ვინემ ქუთაისი. ამას მართლაც ცხედეთ არამც თუ თიადლის სათავად-აზნაურო ბანკის წარმოებთ კარგ მდგომარეობაშია, არამედ სხვა საზოგადო საქმეებშიაც. ავილოთ წიგნების გამოცემის, ჟურნალ-გაზეთების საქმე, სხვა-და-სხვა საზოგადო საქმისთვის შეკეწირება; ამ მხრით ჯერ-ჯერობით ყოველი საქმე იბადება თიადლისში, მეჩემე კი ქუთაისი იწყებს მიბაძვას, მაგრამ ქუთაისში ევრც ერთ მიბაძვას ევრ მოუცილია ჯერ ფენი. ინტელიგენტის უმრავლესობა კი ქუთაისის გუბერნიიდან არის. ამ გარემოების მიზეზს უნდა ვეძებდეთ ჩვენ; როგორც ზემოხსენებული ქალაქების პირობებში, ისე თვით ხალხის ტემპერამენტში, მის ფსიხიურ მდგომარეობაში. ძნელი წარმოხადებია, რომ ამ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ჩვენში გაჩენილიყენ იმისთანა პირობები, რომლებიც სწავლის მიღებასათ ერთათ ზეიზას უკან წევდენ. ამნარი დასკვნა არც სასიამოვნოა და არც სიმართლესთან არის ახლო. ქუთაისი ოცი წლის წინეთაც იმ მოვლენას წარმოადგენდა, რომელსაც ახლო ცხედეთ. კარგ სადღას ქუთაისის თავად-აზნაურობა ყოველთვის სიამოვნებით უყურებდა და პურიმარისი სიყვარული და მასსოგრობა საზოგადო საქმეზე ფიქრს ავიწყებინებდა. ამ მხრით ქუთაისი აქარ-

ბედა ამ ოცი წლის წინეთ, აქარბებს ახლოც. ამ მხრით ქუთაისის თავად-აზნაურობის და ინტელიგენტის ზენობა, თვით-შეგნება ერთ წერტილზე დგას, უძრავია. ზენობის უმოძრაობას ძლიერ უწყობს ხელს ის გარემოებაც, რომ ქალაქც არავითარ მოძრაობას არ წარმოადგენს. ქუთაისში არ არის არავითარი დაწესებულება, რომელიც გარნების საწარმოები და მისი მწირიგელი იყუეს; აქ არის არავითარი მრეწველობა. შრომის მიუხედელოა აზნაურმა, ინტელიგენტც რომ იყუეს, არ იცის, რა ქნას ქუთაისში. ამისათვის იშვიათათ ნახეთ იმისთანა ქალაქს, სადაც იმდენი ჰორიკანობა და მუქთაზორობა იყუეს, როგორც ქუთაისში. თიადლისის თავად-აზნაურობა ამ მხრით თუმც არ წარმოადგენს კარგ მოვლენას, მაგრამ თვით თიადლისის შედარებით მრავალ ვეროვანი ცხადებასტებერ მოქმედობს ზარმაც გონებაზედაც კი. სხვა-და-სხვა ერების სიმრავლე და მათი მუშაობა საზოგადო საქმეში უმნიშვნელოთ არ რჩება აქართ თავად-აზნაურობისათვის. თიადლისის ცხადება შედარებით მეტ სიცხადელებს იწყებს, უფრო ავარჯიშებს არამც თუ აქარების გონებას და მოქმედებას, არამედ ქუთაისიდან ჩამოსულებზედაც კი მოქმედობს. თიადლისის ბანკის საქმეს თუ მივლდებთ მარტო სახეში, აქ ამ ბოლო დროს გაჩნდა ოპოზიცია, რომელსაც თუმც სიპართლის გზაზე ყოველთვის არ უცლია, მიინც ხშირათ სამართლიანათ უმხელდა ბანკის მეთაურების ზოგი უმართებულო მოქმედება და ამისათვის დაუსნაია ბანკი ზოგიერთ განსაცდელისთან. საუბედუროთ ევრ ჩავარდა ქუთაისის ბანკი ამ პირობებში. ზეიზარეს და გონებრივ ზრდას და ვარჯიშობას მოკლებული ქუთაისის თავად-აზნაურობა უფრო გულ-გრილოთ ევიდება საზოგადო საქმეს. მოკლებული რიგიან მავალითებს, ის ლოთიით, ან მოარფინისტიით ეტანება გასართობებს, საიღლებს, საზოგადოთ ლხენას. ამ მდგომარეობით ისარგებლეს იმ ვითომ-და ინტელიგენტებმა, რომლებიცაც სახელის მოაზრების, ან უკუის გაძლიამის სურვილი აწლიათ. ევიცმა და შეუკავებელია ქუთაისლების ტემპერამენტმა ხელი შეუწყო უკუღმართობას. ერთი ცუდი მარე აქეს მარტო წერაკითხვის შესწავლას—ან უძალდესი სწავლის მიღებას ფორმარულით, უუცლოთ. რადგან ქუთაისის თავად-აზნაურობა მეტია რიცხვით, მეტია ზემოხსენებული სწავლის მექონე ახლოგაზრდაც. აი, ამ ახლოგაზრდაშიც უნდა ვეძებდეთ ჩვენ მიზეზთ ჩვენი უცუღმართობისა. ხშირათ შეხედებთ ჩვენში, მასსჯავრო პრაქტიკაც საცხა ამ გეპრი მავალითებით, რომ რომელსამე ახლოგაზრდას, თუმც ცოტა სწავლის მექონეა ის, თიადის სიცოცხლე განსაცდელში ჩაუფ-

*) „მოამბე“ 1897 წ. №-ი 1, 2, 3.

ლია. ამ გვარი ეპატორები ჩვენ-და საუბედუროთ ქუთაისის გუბერნიისში ძლიერ ხშირია და მათი მოქმედება საზოგადო საქმეში უფრო უკუღმართია, ვიდრე წაღმართი. ამ ეპატორებს კარგათ ესმის, თუ რა მოვლის მათ უკუღმართობას, მაგრამ ეს მათთვის სულ ერთია. მკვლელობის, ცარკვა-გაჯივის რაოდენობა რომ ავიღოთ ჩვენში, აქ დიდი ალაგი უკავია ჩვენ თავდაზნაურობას. ცნობილ იურისტს სტეფანოვს არა ერთხელ აუტყენია გოდება იმის შესახებ, რომ მრავალი ახალგაზღვრა თავდაზნაურობის მართლიერების დასაცავად აღიშლებათ თან-დათან იკარგება ციხეში და ამით კი არაფერი ეშველა ქართველ თავდაზნაურობასო. ძნელი სათქმელია, რომ ჩვენი თავდაზნაურობა ძლიერ ჩამორჩენილად გონებით და ზნეობით რუსეთის თავდაზნაურობას, მხოლოდ ის კი ცხადია, რომ მასში შეუთანხმებლათ ტრიალებენ სხვა-და-სხვა გვარი ძალევი; სხვა-და-სხვა მიზეზის გამო ეს ძალები ხან კარგი საქმისკენ გადისხებიან, ხან ბოროტი საქმისკენ. ეს მოვლენა ჩვენ ცხოვრებაში პოეტური სიმახილით შეიურსნავს ზ. ვეისიკოს და დაუხაჯავს გავრით „*Принципы Кайхоеро*“-ში¹). ავტორის უცენია ის ბურჟუასი, რომელიც დაბადება ქართველს სხვა-და-სხვა პირობების გამო, კარგათ შეუგნია სხვა-და-სხვა მისწრაფებათა შეტყუება, რომელიც ხშირათ ქართველში კარგ საქმისკენაც გადისხება. ქაიხოსროს ჰქონდა დაწვეტილი მდიარ ვაჭარს თავს დაეცემა, გავაძრავს, მაგრამ ამ დროს შემთხვევამ არაუნა მას ხომალდზე განსაცდელი და ამწაიხათ ცული განზრახვა შეუსრულებელი დაურჩა. ჩვენი ცხოვრების ამ გვარ გამოურკვეველი და მყენებელი მდგომარეობის ასახსნელათ დიდ სამსახურს გვიწევს ჩვენი წარსულის პირობების ცოდნა და ფსიხო ფიზიოლოგია. ადამიანს ეზრძვის ბუნებას ლუქმა-პურისათვის, თვით ადამიანის ტერნოვაც მუდმივ ბრძოლა არის; მრავალენებათა შორის, წარმოადგენათა შორის არის კინკლაობა. მათ შორის ატენილია თავში მუდმივი ბრძოლა ალაგის და პირველობის მოპოვებისათვის. ამ ბრძოლას განაგებს ნება, რომელიც ადამიანის ყოველი მოქმედების და მოსახრების გამევა. სხვა-და-სხვა გვარ წარმოადგენათ და მისწრაფებათა შორის უნდა მოხდეს მორიდება, რომელიმე იღვამ სახელმძღვანელო ალაგი უნდა დაიკავოს, რათა ადამიანი არ ახევეს ყოველ შთაბეჭდილებას, ყოველ ემოციას. ხელმძღვანელი იღვა ბევრწაიხია, ხშირათ სარწმუნოებრივია, მორალური, ან მხოლოდ ინდივიდუალური

თვით-არსებობას შეიცავს. ეს უკანასკნელი (კერძო პირის განვითარებაზე არის დამოკიდებული), გაღვივება ერთეულ ფიზიონომიის დამკველ ძალათ; ერთი სიტყვით, ბიოლოგიურათ და მეხანტიურათ რომ განვსაზღვროთ, ადამიანის ცხოვრება მდგომარეობს თანასწორობის და თვით-არსებობის შენახვაში. ამ კანონის სიმართლე იხატება არამც თუ ადამიანის ცხოვრებაში, მთელ ორგანულ ცხოვრებაშიცა. ეს თანასწორობა ადამიანში უფრო რთულია, რადგან შეიცავს ორგანულ და ფსიხურ თანასწორობას²); უკანასკნელი უფრო მაღალ ხარისხიანია და წარმოადგენს შესაძლებელ ნაბიჯს ადამიანის ცხოვრებაში. ორივენი ექვემდებარებიან მემკვიდრეობით კანონს და ამწაიხათ ადამიანის თანასწორობა არ არის სრულათ ჩვენ ხელთ. (ამ სწავლამ მიიღო მფარველობას ქვეშ ადამიანის არა თავისუფლებაზე სწავლა ყუენი o не сво-бодѣ воли). ინტელექტურ სფერაზე აქვს დიდი გავლენა ადამიანის ნებას, მაგრამ გარდა იმისა, რომ აქ დიდი ვარჯიში და წრთენა პირდება მას, აქაც საჭიროა ნიადაგი მემკვიდრეობით ცოტათი მიანც მომზადებული. რასაც კი თვისი ძალით და მონდომებით შეიძენს ადამიანი, რაკი ეს შეძენილი მტკიცეთ გავდება მის გონებაში, არ იკარგება, მემკვიდრეობით ძალას გადააქვს ის შთამომავლობაში. ორგანულ თანასწორობაზე ნურას ვიტყვით და ფსიხურ თანასწორობის შეფერხებაზე კი ჩამოვადლოთ ზაისი და ვთქვათ, რას წარმოადგენს ამ მწაიხათ ჩვენი თავდაზნაურობა. გლვებზეში ამ ბოლოს დროს თუ მოხდა რამე ცვლილება, ამ ცვლილებამ უფრო შეუწყრა ხელი გლვებების ფსიხური თანასწორობის განმტკიცებას. გლვები მუდამ წარმოადგენდა მუშაკს და უკანასკნელმა ჭამმა იგი ცოტათი მიანც დაკმაყოფილა მიწა-წყლით და ამ გარემოებამ უფრო შეუწყრა ხელი მას. რა მოვლის გლვებს, როცა მიწა ხელიდან გამოეცლება, ეს არ არის ჩვენი საგანი. ჩვენი თავდაზნაურობა

²) ადამიანის ორგანული, ან სომატური ცხოვრება ბევრათ უფრო ნაკლებათ ეცლებადა, ვინც ფსიხური (სულიერი). ადამიანის ტენის რაოდენობა, ზრდა ერთ საუკუნეშიაც შესაძლებელი სდება; ეს იმითაც ასტკება, რომ რომელიმე რწმენა, რომელიც მეფობდა ერთ საუკუნეში, შემდეგში — მეორეში უარ-ყოფილია მის გამო, რომ გამოჩენილან ფრტკება, რომელიც მაღლებულ რწმენას ძიქს უთსრან. ამ გვარი ორგანული ფუნქციებია გე, როცა რც სისხლის ტრიალი, საჭმელის მონებება და სხვ. უცვლელად; ამწაიხათ უცვლელად ის ორგანოებია, რომლებშიც წარმოებენ შემოსხენიული ფუნქციები (შეშაიანი).

1) Живописное обозрѣніе за 1897 г. № 1.

არც მიწას ეტანება. და თუ ეს ასე არ იყვის, დღეს ის ამ მხრით გარიყული არ დარჩებოდა. ხოლო ისხევა რომ რამე ავარჯიშოს, მას დღეს არა დარჩენიან-რა.

ა. ვაჟაკიძე.

(შემდეგ იქნება)

სხვა-და-სხვა ამბავი.



უთაისის გუბერნიის თავდაზნაურობის წინამძღოლათ ამორჩეულ იქმნა თ. ს. გ. წერეთელი თითქმის ერთხმათ.

ქუთაისის მაზრის მარშლათ თ. დ. ო. ნიჭარაძე, მის კანდიდატათ თ. გ. ნ. წულუკიძე, დეპუტატათ თ. ა. გ. ერისთავი, კანდიდატებთ ს. ვრიგოლაშვილი და ი. გამყრელიძე.

შორაპნის მაზრის მარშლათ თ. მ. ზ. აბაშიძე, მის კანდიდატათ თ. ნ. ხიღბიბეგიშვილი, დეპუტატათ კ. მაჭავარიანი და მის კანდიდატთ მდივანი.

ოზურგეთის მაზრის მარშლათ თ. ს. დ. გუგუჩაძე, მის კანდიდატათ თ. კ. დ. ერისთავი, დეპუტატათ ს. ხუნდაძე და მის კანდიდატათ თ. ნ. თავდგირიძე.

რაჭის მაზრის მარშლათ თ. პლ. წულუკიძე, მის კანდიდატთ კეტიშვილი, დეპუტატათ ჭიჭინაძე და მის კანდიდატთ ჯაფარიძე.

ეგზამენები გათავდება საქალბო ინსტიტუტში 29 მაისს, წმ. ნინოს სასწავლებელში 7 თბათვეს, სათავად-აზნაურო სკოლაში 3 თბათვეს.

მაისის 20 ქუთაისში დანიშნულია საგანგებო კრება შავი ქვის მწარმოებელთა.

დანიშნენ: რაჭის მაზრის უფროსი ყიფიანი ლეჩხუმის მაზრის უფროსათ, ლეჩხუმის მაზრის უფროსის თანამდებობის ამსრულებელი ქელამოვი ზუგდილის მაზრის უფროსათ და ზუგდილის მაზრის მმართველი თ. დაღეშქელიანი რაჭის მაზრის უფროსის თანამდებობის ამსრულებელათ.

წლევანდელი ქუთაისის სათავად-აზნაურო კრება

ძლიერ ნაყოფიერი გამოდგა ქვეყნის სასარგებლო საქმეების გადაწყვეტით: 1) დაადგინეს, რომ თავდაზნაურობის წინამძღოლმა თხოვის უმაღლეს მმართველობას, რომ ქუთაისის საადგილ-მამულთა ბანკის შესახებ ცვლილებები განხილულ იქმნას სახელმწიფო რჩევაში და დამტკიცებული, რომ თავდაზნაურობას ნება ექნეს მიხილოვის საადგილ-მამულთა ბანკის კრებები მოიწვიოს ბანკის საქმეების წესიერებაში მოსაყვანათ; 2) თხოვეს დაჩქარება სამეგრელოს სათავად-აზნაურო კამისიაში თავდაზნაუროთა გერებების დამტკიცების; 3) წარუდგინეს კრებას დასამტკიცებლათ პროექტი ნავიკთა სასამართლოს შემოღებისა და კრებამ დაავალა თავის წინამძღომელს, რომ მან იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე ასეთი საპართლის შემოღებაზე ჩვენ ქვეყანაში; 4) თხოვეს რკინის გზის გაყვანა რუსეთთან კავსიაში მაისონის უღელტეხილზე; 5) აგრეთვე აღძრეს ლაპარაკი ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთათვის განათლების საშუალებათა გაძლიერებაზე.

**

ქუთაისის ოლქის სასამართლოსთვის სახელმწიფო დარბაზის აშენება უკვე გადაწყდა.

**

კიდევ არ უშლიან ჩხიკინს სათავად-აზნაურო ბანკის სკოლას. ეგონებ, ყოველი მათი უსამართლო დევნა ამ სკოლისა თავდაზნაურობამ დაკმა და ერთხელეე გადაწყვიტა, რომ ეს სკოლა, როგორც უეზარი წყარო თფილისის გუბერნიის შემუშლებელ თავდაზნაუროთა შეიღების გამოზღისა, ხელშეუხებლათ უნდა დარჩეს. ახლა დიდი ხანი არ არის, რაც ა. ქ. კიდევ აღიღო ხელში ფარხმალი და უნდა ულომბებლათ შემესტროს ეს სკოლა მომავალი ოპონის სამეურნო სკოლის სასარგებლოთ. ჩვენ ძალიან კარგათ ვიცით, რომ ა. ქ.—ს მიერ დამიზნული ყუმბარა თფილისის სათავად-აზნაურო სკოლის დასანგრევით ამათ ჩივილის. სანამდის თფილისის თავდაზნაურობა ცოცხალია, მანამდის ქონდრის კაცების ყუმბარები ვერ შეარყევენ სათავად-აზნაურო სკოლის ბურჯს.

**

წელს თფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში გაიხსნება მეექვსე კლასი და ამისთვის იქიდან სხვა სასწავლებლებში შესასვლელი ეგზამენები არ იქნება.

**

მცხოვრებთა ერთ-დღიურ აღრიცხვიდან რუსე-

თის იმპერიაში აღმოჩნდა, რომ მთელ საქართველოს მანძილზე თფილის-ქუთაისის გუბერნიაში ყოფილა ოარი მილიონი და ორასი ათასი მცხოვრები.



წელს კავკასიაში არბების და სარწყავი რუების გასაყენათ მთავრობას გადაუღვია ორასი ათასი მანეთი.



„თფილისის ფურცელში“ დ. კეხელი წერს შემდეგს: „ამას წინათ „ცნობის ფურცელში“ იყო მოყვანილი ერთი ახირებული ამბავი, ვითომც, დღეში რომ ოლქის სასამართლოს განყოფილება აწარმოებდა და სამჯერო საქმეებს, ერთ გლეხს განცხადებნის საშარათლში, რომ მე ბნო, მოწმეთ კი არა ვარ დაბარებული, მკვლელობას მპარალებნო, და ჩემ ვეჭილს მოველო, რომელმაც ხუთი თუმანი გამოამართვა დაცვისათვისა და მეორე ხუთი თუმანი მაშინ უნდა მიეცე, როცა გამამართლებსო“.

„სასამართლოს წევრებს ძალიან გაუკვირდათ ასეთი ამბავი, რადგან იმათ გლეხი მოეწვიათ სასამართლოში არა, როგორც დამნაშავე, არამედ როგორც მოწმე. ეს უმართებულო საქციელი ვილაც ვეჭილის დიდით განკიცხეს „ცნობ. ფურც.“ ღ. ივერიის“ რედაქციებმა და განავრცეს; იმდღა ამ ვეჭილს კარგათ იცნობს ბ. დ. კეხელი და კიდევ გამოაცხადებს მის ნამდვილ სახელს, რომ პირში შევაფურთხოთ იმ უზენო ვეჭილსაო“.

„აი, რა ხერხით უნდათ გადაბან თ. ილია ჭაქვაძემ და იმის ფარის მტერთვლმა გუნიამ ჩემი სახელი იმ უმგზავსო შეთხზულ ჭორსზე, რომ ჩიჩქი მოაცხონ ჩემ სახელს და თვითონ კი პასუხის-გებისაგან თავი დაიძვირონ“...

„მე საქვეყნოთ ვაცხადებ, რომ ჩემი სახელი არამც თუ არაოდეს არ ყოფილა გარეული ასეთ სამარცხენო საქმეში, არამედ თვით ის ამბავიც გრცლათ შეთხზული და მოკორებული ყოფილა გუნიასა და თ. ი. ჭაქვაძისსაგან, როგორც ჩვენ გამოვიძიეთ დღეშეთის განყოფილების ოლქის სასამართლოს კანცელარიაში და დავრწმუნდით იმ ამბის სიცრუეზე“...

„რადგან მე ჩემი თავი ცილ-დაწამებულათ მიმანია იმით, რომ განზრახ სამარცხენო და ჩემი სახელის ჩიჩქ-მომცხები მოქმედება დამპარაღეს, ამისთვის გამოუყენებდა რედაქტორებს: „ივერიისა“ და „ცნობის ფურცლისას“, რომ მათ სამი დღის განმავლობაში დასტამონათ თვის ვახუთების დღეშეთის შემდეგი: „არამც თუ ბ. დ. კეხელისთვის არ დავიბრალებია ზემოსხენებული ჩვენ მიერ გამოქვეყნებული მოკმელება, არამედ თვით იმ ამბავისთანაც არა მომხდარა-რა დღეშეთის სისხლის სამართლის საქმეების წარმოების დროს ოლქის სასამართლოს განყოფილების სხდომაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მე, დ. კეხელი, იძულებული ვიქნები მივმართო სამსჯავროს 1535 მუხლის ძალით და დეამტკიცებინო მათ სიმართლე ჩემი ბრალისა-ნა ამ საქმეში“.

ნებული მოქმედება, არამედ თვით იმ ამბავისთანაც არა მომხდარა-რა დღეშეთის სისხლის სამართლის საქმეების წარმოების დროს ოლქის სასამართლოს განყოფილების სხდომაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მე, დ. კეხელი, იძულებული ვიქნები მივმართო სამსჯავროს 1535 მუხლის ძალით და დეამტკიცებინო მათ სიმართლე ჩემი ბრალისა-ნა ამ საქმეში“.



საბერძნეთ-ოსმალეთი.

მინ დამარცხა საბერძნეთა? ა, საინტერესო გამოსარკვევი საკითხი. ჩვენი ჟურნალ-გაზეთები, რომელთაც ჩვეულებათ აქეთ უცხო ქვეყნის ვახუთების მითქმა-მოთქმაზე და ცრუ დებუებზე აფუძნონ თვისი პოლიტიკური მოსაზრებები, რასაკერაეცა, ასეთ ჩვენ კითხვას გაკვირვების ნიშანს დაუსმენ და წამოიძახებენ, მაგას რაღა კითხვა უნდა, რომ ოსმალეთმა დამარცხაო. დღეს ის ძლევა მოსილათ შეესია და კიდევ დაიპყრო მთელი თესსალიაო. მაგრამ ვისაც დაწერილებით თვალი უდევნებოა იმ პოლიტიკურ ამბებისათვის, რაც 1878 წლის ბერლინის მორიგებას შემდეგ მოხდა საიდუმლოთ და ახლა ოსმალეთ-საბერძნეთის ბრძოლამ გამოაქვეყნა, ის უფქველათ დარწმუნდება, რომ საბერძნეთი დამარცხა მხოლოთ გერმანიამ, რომელიც იყო და დღესაც არის ევროპის სახელმწიფოების კონცერტის ნამდვილი შემდგენი და მეთაური. იმან დღეს განსაკუთრებული ხელოვნებით ისარგებლა იმ უთანხმოებით, რომელიც ბერლინის კონგრესს შემდეგ იყო ჩამოვარდნილი რუსეთსა და ინგლის შორის. იმ უთანხმოებაში გერმანიამ მხარი დაუჭირა რუსეთს და სამავიგროთ რუსეთმაც თავს იდგა შეუამელობა, რომ გერმანია პოლიტიკურათ შეერაგებინა საფრანგეთთან. ამას შემდეგ გერმანიამ, როგორც სამთა კავშირის მეთაურმა ადვილათ მოახერხა ხმელეთის სახელმწიფოები ევროპისა შეეთანხმებინა ურთიერთ შორის, ვითომ იმ განზრახვით, რომ დატუქსოს ოსმალეთი, რომელიც დაეცა აღმოსავლეთის ქრისტიანებს ვასაქლუტათ; ნამდვილათ კი ჰსურდა განეკუთრებინა ინგლისი საფრანგეთისაგან და ოსმალეთი გაეძლიერებინა. ეს ამბავი თვალ-საჩინოთ დამტკიცდა ახლა ოსმალეთისა და საბერძნეთის შეტაკებით, გერმანიის იმპერატორმა გაუგზავნა სულთანს სამსახურში თავისი სუვეთისა გენერალ-შტაბის აფიცრები, როგორც მუკითათ გრუმყოვ-შაბას და სხვები. იმათ ჩინებუ-


ლათ გაწერთს ოსმალის ჯარი და გამოუწყვეს შვენიერი არტილერია. მრავალი სამხედრო აუციკრები გერმანიის ჯარისა მსაურებუნ ახლა ოსმალის ჯარებში. ის კი არა, მთელი ერთი საბრძოლო არტილერია აჩუკა გერმანიამ სულთანს სრული მოწყობილობით. ამას გარდა გერმანიის დროშას ქვეშ ოსმალეები თავის ცეცხლის გემებით ეხმადებოდნენ გერმანიიდან შემზადდებულ სამხედრო იარაღს და ყოველ გეარ სამხედრო სამზადისს, როგორც ეს დამტიკდა ტენფდოსის კუნძულთან დატყვევებული ცეცხლის გემით და ბერძნების მიერ შეპყრობილი „ესტრისის ლლორის“ ცეცხლის გემებით. რათ ინება გერმანიის იმპერატორმა ასე ქვადათ საბერძნეთის წინააღმდეგ სულთანს მიმხრობადა ამ უკანასკნელ შეტაკებაში? მით უმეტეს გაუგებრათ უნდა მოეჩვენოს ეს აშბავი ყველას, ეინც გერმანიის პოლიტიკის საიდუმლოებდას არ არის გაცნობილი, რომ საბერძნეთის ტახტს მემკვიდრეს ჰყავს მფულღეთ გერმანიის იმპერატორის დაა, სოფიო, რომელმაც, იცოდა-რა ასეთი საქციელი თავის ძმისა, უარი უთხრა და რა უწეოა მისი ბაბუის ასი წლის დღეობაზე ბერძენთა წინააღმდეგ.

ასეთი საკვირველი ამბების ფეხი იმაღლება თვით გერმანიის იმპერატორის მისწრაფებაში, რომელიც მისდევს ნაპოლონ დიდს გარეშე-პოლიტიკის გეგმას. იმას გერმანიაში უწოდებენ მესამეცდაათე წლის მოღვმის მეთაურს. ხოლო ეს ნიშნავს ახალ პროგრამის მიმდევარს. რაკი გერმანია შიგნით შეერთდა და შესაფერი პოლიტიკური ძლიერება მოიპოვა, ახლა მისი იმპერატორი მხოლოდ იმას ცდილობს, რომ გარეშე-პოლიტიკაში გახდეს დროშის მატარებელი და მსოფლიოა ასარებზე განათლებულ სახელმწიფოთა მეთაური. აი, ეს არის მისი idē fixi-ი. ამ საიდუმლო განზრახულების ასასრულებლათ, ჯერ კიდევ ბის-მარკმა დაარსა სამთა კავშირი იმ იმედით, რომ საფრანგეთი თავის რესპუბლიკური წესწყობილებით ეტრაოდეს ვერ შეუკავშირებდა რუსეთსა და ამის გამო სამთა კავშირი ყოველთვის ადვილათ იბატონებს მათ შორისა: Divide et imperat (აღლაყვე შენს მტრები, თუ გინდა მათ შორის ბატონობა)— აი, ასეთ მაკიაველურ პრინციპსმიდევდა გერმანია 1895 წლამდის, მაგრამ რასაც არაეინ მოელოდა, ის მოხდა, რაკი რუსეთი დარწმუნდა, რომ გერმანია აპირებს საფრანგეთსა და რუსეთის განკრძობებით სარგებლობასაო, იმპერატორმა აღექსანდრე მესამემ მანუწიე მოახდინა განკარგულება, რომ მეგობრული კავშირით დაახლოებოდა საფრანგეთს, რომელმაც აღტაცებით მიიღო რუსეთის მიერ გაწვდილი ხელი. სამთა-კავშირის მეთაური, გერმანიის იმპერატორი, ძლიერ დააფიქრა და შეადრწუნა ასეთმა ამბავმა. ახალ


საპოლიტიკო დაწყობილებაში გერმანია და მისი მოკავშირენი დარჩენ შუაში გამოწყვედული. აი, ასეთი ხიფათის ასაცლებლათ გერმანიის ახალგაზდა იმპერატორი რომ ტახტზე ავიდა, მას შემდეგ მან დაიწყო ევროპის სახელმწიფოებში მოგზაურობა, ეინთამეც ეინტერესის გადასახლეთა, მაგრამ უფრო სხვა განზრახვით. ყველაზე უფრო დიდხანს ის დარჩა სადარბაზოთ სტამბოლში და ამ მეგობრულ მოკითხვის ის შედეგი ჰქონდა, რომ ოსმალეთი უფრო სამთა-კავშირის დაუახლოედა. მაგიერათ გერმანიის იმპერატორმაც აღუთქვა ოსმალეთს მისი შინაური საუინანსოა და სამხედრო მდგომარეობის გაუმჯობესება. ასეთმა ამბავმა რუსეთსაც დრეებით აცვლენია თანის პოლიტიკის მიზართულება აღმოასაელებოში. იმანაც მეგობრულათ დაუწყო ოსმალეთს მოპყრობა ერთი იმ განზრახვით, რომ სამთა-კავშირითან საბოლოოთ პირობის შეკრა დაეშალა და მეორე იმ განზრახვით, რომ ინგლისის გაეღენა შეემცირებინა სულთანზე. ასეთი მისწრაფება გერმანიასაც დაუდგა, რადგან ამითი ინგლისის თანდათან ჩამოშორდა ოსმალეთის და განკრძობებული დარჩა. აი, აქ იმაღება ევროპის ხმელეთის სახელმწიფოთა კონცერტის დასაბამი, თუმცა იმავე დროს რუსეთი ძალიან უნდობლათ უყურებდა ოსმალეთს და უთვალთვალებდა, რომ საბერძნეთ-ოსმალის ბრძოლის დაწყებამდე მას პირობა არ შეეკრა გერმანიასთან და სამთა-კავშირთან.

მაღე ატყდა საბერძნეთ-ოსმალეთ შორის შეტაკება და თვით ამ ომმა ცხადთ გამოარკვეა დაფაურული აზრი ანტიტისის შუამავლობით გერმანია-ოსმალეთის მომავალი კავშირისა, რომელსაც განსაკუთრებით უნდა უფრთხოდეს ევროპა, რადგან აქ იბრუნება მიზნეი მომავალი საწინელი პოლიტიკური ქართვეილისა, რომელშიაც ძალა უნებურათ ყველა ევროპის სახელმწიფოები უნდა ჩაერთოს. რა მდგომარეობაში დარჩება მანინ ინგლისი? ის, უტყველოთ, არც მანინ უტყუნებს თავის პროგრამას. როგორც განკრძობეულები ევროპის მოკავშირეებიდან, ის ცალკე იქნება გამდგარი და ცდებდა, რომ ბალკანის ნახეგარ კუნძულზე ისეე ბალკანეთის საქისტანო ხალხებს დარჩესთ ბურთი და მოედანი, რადგან მისი პოლიტიკური და კომერციული ინტერესები იმას მოითხოვს, რომ სტამბოლი თუ არ სულთნის, არამც და არამც სხვა რომელსამე ძლიერ სახელმწიფოს ევროპისას არა ხედვს, იმისთვის რომ ამისი შესრულება და ინგლისის გაეღენის დამცირება აღმოასაელებოში ერთი და იგივე იქნება.

ამ მოსაზრებას შემდეგ ყველა ადვილათ მიხედება, რომ საბერძნეთი გერმანიის ხელმძღვანელობით შედგენილმა ევროპის კონცერტმა დაამარცხა და



ქმეზბა რომ იოსები მიჰყიდეს



ეგვიპტის ვაჭრებს.



არა ოსმალეთმა. ევროპის სახელმწიფოებმა რომ ძალიან არ დაეტანებინათ სერბია-ჩერნოგორიისათვის და ბოლგარია-რუმინიისათვის, იმავე წმინდა, როგორც კი საბერძნეთმა ჩაძოლა გამოაცხადა, ხალხი მაკედონიანების მახრებში აღდგებოდა და თვით სლოვენთა ერებიც შეუტევედნ ოსმალეთს უკანდინ და, ორიცხულ შუა ჩაყენებულ ოსმალეთი უსათუოთ უნდა დანგრეულიყო. ახლა თუმცა საბერძნეთი კიდევ დამარცხდა, მაგრამ შერიგება მიანც თვით ოსმალეთს უფრო ეპირებება, ვიდრე დამარცხებულ საბერძნეთს, რადგან რაც უფრო ხანი გამოვა, ისე უფრო აუტანელი იქნება ოსმალეთისთვის ამდენი ჯარის გამოკეობა. ამას ვარდა იმას ეწინაა, რომ სლოვენთა ერებმა არ დაპყარგან თავის მოთმინება. ახალი ბრძოლა თუ კიდევ ატყდა, მაშინ ოსმალეთის საქმე ძალიან საშიშ მდგომარეობაში ჩაუარდება. აი, ეს არის მიზეზი, რომ ოსმალეთი იმაზედაც კმაყოფილი იქნება, რასაც ევროპის სახელმწიფოები ვადაუწყებდნენ, ოღონდ კი მშვიდობიანობა მოხდეს მალე. ყველა ამგვარ თუ მივიღებთ მხედველობაში, ცხადთ გამოირკვევა ის აზრი, რომ თუმცა საბერძნეთი ახლა ძალიან შეწუხებულია ოსმალეთის ჯარების შესვლით, მაგრამ გამარჯვებული მიანც ბოლოს ისევ გამოვა ამ ბრძოლიდან, რადგან მიწა-წყალს ვერ წაართმევენ და კრიტის კუნძული მიანც საბოლოოთ მისი მეობებით ვათავისუფლდა და ისიც დოეს, თუ ხეალ უსაცილოთ შეუერთდება საბერძნეთს. ხოლო ოსმალეთი კი ამ ომმა ისე დაასუსტა, რომ კიდევ უფრო მოიახლოვა აღსასრულის დღეები. ამიერიდან საბერძნეთი კიდევ უფრო იქნება იმ იმედით გამსუქალული, რომ ეპირა და სამხრეთის ნაწილი მაკედონისა მასვე შეხედება წილათ მომავალში.

ასეთია შედეგი ახლანდელი საბერძნეთ-ოსმალეთის ომისა.

მასკაბლი.

და მკელი ვას ამოკელი ჭუჭუმი და ლაფი.
 სასკე ანდა უხნეობას შვი ლაქაბი,
 უსარცხოთ თვალებს ამტრება გამდელ-გამოდელს.
 დიდი სანა მან დაჯგრა უმანკაბა,
 დიდი სანა, რც გვენო ჭაქას ბაღეს.
 ზოგი კენჭს ქვრის, ზოგი ზიზღით არადეს თვლას,
 მგრამ იმისთვის სულ ერთია, ვინც რა უნდა თქვას.
 გადასდა თავს მანდილი უბიწაბას—
 თვისი სიმიდარე, და მის გარე რად წართვის?
 დღე მიდა ანდომებს, დამით ლუგას ექვს მშოერი,
 იმე ბაღეში მღვრის, გუგავს და იგრისება,
 მერე ბაღში ქურდ-ბანცობას მის ბიწმშო შვილი;
 ის ვერც ვა იგნობს, მისი ბუდი არ ენაღვლებს.
 ათი წელია, რც მთავრო სდაღც კარბთან
 და თვით ვი ბაჭევა ბატრებით ცხოვრების ტრიალს,
 ის არ იცოდა სცნადავს, რა მოკლდა,
 როცა იგდავა გულ-ცხირთან ბირკვით ტრფიანს.
 იქნე ლუგმისთვის უბედურმა ბაჭვიდა თავი,
 ღუსჭირ ცხოვრებამ გაღვლას უბწვიდა გული,
 ანუ სსადიან გამოკლო ღოთამ ღვადამ,
 და ასდა ჭჭეა ქუნის გოგო და განცხტული!

ი. ევლოშვილი.

კრიტიკული შენიშვნები. *)

(მოსავლის მკველი, ანუ სსარგებლო ცხოველები და ფრინველები, შედგენილი აკობ გოგებაშვილის მიერ, ოც-და სუთი სურათით. თბილისი 1896 წ.).

ქედან ის პირობენილი დასკენა გამოგვყავს, რომ ი. გოგებაშვილის აზრით, ვარლამოვის თვლაში ნაბამი ცხენი ბედნიერია, სამოცილო, რომელსაც ცოლი — გაძლომას შემდეგ — პირში უხრის უმ ხორცს, აუარებელი ქონების ჯან სალი პატრონი ლ მრავალი სხვა ამით გვარი ბედნიერნი არიან, პირიქით, ყოვლად ღარიბი ღვთის მოღვაწე, ჯან-სუსტი მეცნიერი, რომელმაც თავისი სიცოცხლე ცხოვრების ლ სხვა კითხვების შესწავლას მოანდომა, — ყველა ესენი იმავე ატოარის აზრით — ბედნიერებას მოკლებულნი არიან, ან პირდაპირ რომ ვთქვათ მეტათ უბედურნი არცხენანი არიან. ყველა ამ ფაქტების განხილ-

*) ის. „კაბლი“ № 20.

განვიცხტული.



ს მიდიდა ღუჭუნების წინ ფესუბ-ტორტანით, ვინ იცის, ღამე სდა ათია, რამელ სარდაფში! ევლზე მოკლო თავსსკევი გახუნებული

ვა—ჩენის აზრით—საჭირო არ არის; მაგრამ ჩენი აზრი ჯანისა და სიმდიდრის შესახებ დარჩებოდა ცალმხრივი, აქვე რომ არ მოგვეყვანა ერთი მოსაზრება. სიმდიდრეს, როგორც ცხოვრების საშუალებას და მიზანს, დიდი გავლენა აქვს ადამიანზე, საზოგადოთ, ამ შეთხვევაში ადამიანის ეთარება მრულედ გზას ადგება და მისი ქუთა-გონება არა სასურველ მიმართულებებს იღებს. თითქმის ადამიანს თავის ქონების სიმძიმე ეტრია და ამის გავლენას ქვეშ ილუბება...») ამ მოკლენას ჩენ ცხადთ ცხადით აწინაღობდნენ განათლებულ სახელმწიფოებში და განმარტებას არ თხოულობს. ამნაირათ ჩენ გამოგვეყვას ის აზრი, რომ ჯან-საღობა და ქონება-სიმდიდრე აკმაყოფილებენ ადამიანის ცხოვრების ფიზიკურ მხარეებს და წარმოადგენენ, საზოგადოთ, ყოველი სხეულის საერთო მოთხოვნილებას, ასე რომ ჯანის სიმრთელე და ქონება მხოლოდ საშუალებაა, რომ ადამიანი გამოვიდეს ცხოვრების სარბიელზე და იქ მაკრა ფეხი მოიკიდოს, ხოლო რა შრომას უნდა დაადგეს ადამიანი თავის მოკლე ხნის ცხოვრებაში, რომელ მიზნის მისაღწევით უნდა იღწეოდეს,—ამ გვარ ვითხვებთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს, როგორც საჭირო ჯანს, აგრეთვე სიმდიდრესაც და არც თავის თვისებებით აღბეჭდავენ ადამიანის ნამდვილ ზნეობრივ და გონებრივ მოქმედებას.

ასეთია ფიზიკურ მოკლენათ პირფანდელი და ნორმალური მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრება-ეთარებაში. მაშასადამე, ადამიანის ბედნიერება არც ჯანზეა და არც ქონებაზე დამყარებული. ადამიანის ბედნიერება უნდა მდგომარეობდეს მის ცხოვრების ნორმალურ მსვლელობაში და უნდა იყოს შედეგი ზნეობრივ-გონებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა, ზოგიერთების აზრით კი, შრომაში ²⁾ უნდა ეძებდეს ადამიანი თავის ბედს და იღბალს. ჩენ ვეფიქრობთ, რომ თვით შრომაში კი არაა ბედნიერება, შრომა ბედნიერების მისაღწევი საშუალებაა. უშრომოთ ადამიანის ბედნიერება შეუძლებელი გახდება, ადამიანი დაიჭერდა პირუტყვეთან ერთ ადგილს...

„რას მიქვან შიშადი მწუსარება?“

მოკვდეს გავი, თუ პირუტყვს ვადრესა! ¹⁾

ი. გოგებაშვილი ცნობილი მწერალია ჩენში

¹⁾ ქარხნის მუშაზე წინადადეგ კვანთამიურ ცხოვრებას (სხვათა მიზნითა შორის) ის გუგუნავს აქვს, რომ მუშაში დიდ კავშირებს ადგენენ კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველათ...

²⁾ აქ, რასაკვირველია, შრომის გარეშობა სულ სხვანაირათ უნდა გამოხდეს წარმადგენიდა, ვინემ დღევანდელის...

და უფრო პედაგოგიური მწერალი. ამის ნაწერებს თავისი გავლენა აქვს მკითხველ საზოგადოებაზე; ამ გარემოებამ ვეაძილა, რომ გამოგვეყვანა ი. გოგებაშვილის აზრის ზოგადი მიმართულება; ამით მკითხველს დაეანახეთ, თუ რა თვისებისაა ხსენებული ავტორის მოსაზრებანი. თუ რომ ი. გოგებაშვილის ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში შედგენილ მოსაზრებას დაეუგჯრეთ, მაშინ არავითარი ბრძოლა არ ყოფილა შესაძლებელი ბუნების და კაცობრიობის კანონების წინააღმდეგ. აქ ავტორი, როგორც ნეტარ ხსენებული ბუღდა, ადამიანს ძილს უქცავს. ამასთანავე მისი ცნება ბედნიერების შესახებ პირუტყული ბედნიერება—თუ შეიძლება ასე ითქვას. დაბოლოებით გამოგვეყვას ის შეუცდომელი—ჩენის აზრით, რასაკვირველია,—დასკვნა, რომ ამისთანა, აზრების გავრცელება ჩენ საზოგადოებაში არ არის სასურველი,—რადგან მას ადამიანის გარნების გამოთახსრებელი შედეგი მოაქვს... წინასიტყვაობაში კიდევ მოიპოვება იმისთანა ადგილები, რომლებიც თვით თხოულობენ კრიტიკულ შენიშვნებს. მაგ, როდესაც ავტორი ამბობს, რომ ბუნების მეტყველების ცოდნა უფრო საჭიროა მიწათ-მუშავეებისათვის, ამით ის ავიწროებს ბუნების მეტყველების და საზოგადოთ მეცნიერების მნიშვნელობას. ჩენ ყველამ კარგათ ვიცოთ, რომ მეცნიერებას ორი მნიშვნელობა აქვს კაცის ცხოვრებაში: პრაქტიკული და თეორიული. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ბუნების მეტყველებას დიდი და უსაჭიროესი ადგილი უჭირავს კაცობრიობის ზოგად სწავლა-განათლების საქმეში. ეს პედაგოგს ორმათ უნდა ესმოდეს და არასოდეს არ ავიწყდებოდეს... ი. გოგებაშვილის აზრით, ჩენი ქვეყნის ბუნება, ძლიერ მდიდარია, მაგრამ... თუმცა საზოგადოთ ჩენში ბუნების სიმდიდრეა, მაგრამ, ვისაც დღემდის თვალები არ დაუხუჭნია ფაქტების წინაშე, იმისთვის ცხადია, რომ ჩენი მიწა, რომელიც იმყოფება ხენ-თესვასა, ბალ-ვენახებს ქვეშ, სრულებით დაიღალა და მოიქანცა: ღონიერ მოსავალს აღარ იძლევა... აქ ძლარბ-ჭოტები ვერას უშველიან...

როდესაც მკითხველი წივანკის შინაარსს და წინასიტყვაობას შეადარებს ერთმანეთთან, მაშინ ის დაინახავს, რომ წინასიტყვაობა თხზულების დედა-აზრს სრულებით ეერა ჰხსნის; იმის მაგიერათ რომ პირდაპირ და მარტივთ ეხსნა ავტორი თავის წივანკის მნიშვნელობა და ამით მიეთვისებინა თავის მეგობარ ცხოველებსათვის შესაფერი ადგილი, —იმის მაგიერათ, ვამბობთ ჩენ, ავტორი შეცნო ცხოვრების და ბუნების კანონებს, ადამიანის ბედს და იღბალს, სადაც მხოლოთ თავისი უფიქრობა გამოიჩინა. ი. გო-

გებაშიღს, როგორც ჩანს, რიგიანთ არ ესმის აწინ-
დელი მეცნიერების მიმართულება, თორემ კაცის
ეკონომიურ ძალას არ დაამყარებდა ზღარბ-თხუთღელა-
კობების მეგობრობაზე კაცთან... სწორეთ, რომ, ი.
გოგებაშიღის წიგნაკის წინა-სიტყვაობა და წიგნაკის
შინაარსი ერთათ რომ გაეარჩიოთ და შეგედაროთ,
გამოვა: *гора родила мыш!* (მთამ თავეი შობაა!)

II.

ადამიანის ცხოვრება სავსე ბევრი სხვა-და-სხვა
ეაბით, და ამ გვარ ეაბათა შორის არა-უყანასკენ-
ლი ალაგი უჭირავს ეკონომიურ მხარეს. სამართლია-
ნიც არის, რომ ეკონომიურ კითხვებს აქცევენ დიდ ყუ-
რადღებას, და ამ კითხვების ასახსნელათ დაწერილა
ბევრი წიგნი, რასაკვირველია, სხვა-და-სხვა შინაარსის-
სა და მიმართულებისა. მოვიგონათ, თუ რა ბაასი
აღებეს რუსეთში ეკონომიურ კითხვების შესახებ,
როგორც ჟურნალ-გაზეთებში, აგრეთვე ცალკე წიგ-
ნებშიაც. ჩვენშიაც თუმცა ჯერ დასაბუთებელი და
განმარტებული ხმა არ დასტამულა ეკონომიურ კი-
თხვების მნიშვნელობის შესახებ, მაგრამ კერძო ლა-
პარაკში, შინაურულათ, ბერჯულ დიდი და გახურე-
ბული ბაასი ატყდება ხოლმე ამ კითხვებზე; ასე რომ
ბევრი ხანი აღარ გაატანს, და ჩენი ჟურნალ-გაზე-
თებიც უფროა გზას მისცემენ საეკონომიო საკნების
შესახებ ბაასს. ეს ასეც უნდა იყოს: ამ საკნების დიდი
ადგილი უჭირავს კაცის ცხოვრებაში და მათი ახსნა
ყოვლად საქირია, მით უფრო, რომ გარემოება დი-
დი ხანია თხოულობს აჰას... ამ კითხვების თეორი-
ულ მხარეს რომ ამ ჭაბათ თავეი დაკუნებოთ, მაშინ
ჩვენ დაგერჩება მისი მეორე მხარე—პრაქტიკული,
რომელიც მდგომარეობას იმაში, თუ რა ღარისიძება
უნდა შემოიტანოს და მოახზაროს ადამიანმა, რომ
თავის ეკონომიური ცხოვრება, გააუმჯობესოს და
წინ წაიყვანოს. კაცობრაობის ცხოვრება საეკონო-
მიო საქმისათვის ბერს სხვა და-სხვა საშუალებას თ-
ლევა. ი. გოგებაშიღმაც სხა ამოილა ამ საკნების
შესახებ. აეტორის წიგნი ებება ზოგერთა ცხოვე-
ლებს, რომელნიც სასარგებლონი არაან ცაცისათვის,
როგორც მასკელის მცველი. ენათათ, როგორც ას-
რულებს ი. გოგებაშიღი თავის სურთილს, ანუ უეთ
ეთქვათ, როგორ საუფმედიანათ ათავებს თავის
ადმიხულ საქმეს: მოუტანს ეს წიგნაკი მკითხველს
იმ სარგებლობას, რასაც უქადის აეტორი, თუ არა?

ჩენის უცილურესი აზრით, ყოველი აკვირა წიგნი
რაც კი შეიძლება მეცნიერულათ უნდა დაიწეროს.
წიგნის მასალას უნდა ჰქონდეს სამეცნიერო ნიადგი,
იყოს დაუყოლიო ჯკუთუ-ჯკუთუთ და თეიდან ბო-
ლომდის უნდა ეპარჩალებოდეს ლაკვიტო კანო-

ნებს. ამასთანავე წიგნი არ უნდა ჰპირდებოდეს იმის
მეტს, რასაც, მართლა და, თათონ იძლევა. ყველა
ამ ზოგად მოსაზრების წინააღმდეგია ამ წიგნაკის ში-
ნაარსი, დაეწყოთ წიგნაკის სათაურიდან. „მოსავლის
მცველი, ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები“
—*ეს (ჩახაზული ჩენია)*—ასახელებს თავის შრომას
აეტორი. აეტორმა თითქოს არ იცოდეს, რომ ფრი-
ნველც ცხოველია, და ასეთი დაყოფა „ფრინველები“-ს
და „ცხოველები“-სა, შეუძლებელი საქმეა მეცნიერე-
ბის გეგმით, ცხოველი, თუ გენებათ, ზოგად ცნებაა,
ხოლო ფრინველი კერძო ცნებაა შედარებით პირ-
ველთან, ასე რომ ზოგადი ცნება—ცხოველი—შეი-
ცავს თავის სიერცეში (ან სიდიდეში), კერძო ცნე-
ბას—ფრინველი. აეტორს რომ მწერებზედაც ელაპა-
რანა, მაშინ ასეთი სათაური გამოვიდოდა: ცხოვე-
ლები, ფრინველები და მწერები,—თითქოს, მწერი
ცხოველი არ იყოს. მაშ რათ მოუყვად აეტორს ამის-
თანა ბორძიკი? აქ შეიძლება შემოვიტანოთ სამი წი-
ნადადება: ამისთანა შეცდომა მოხდებოდა ან უფი-
ციობის გამო, ან დაუდევრობისა ან თუ არა და აე-
ტორი განვებ მოახდენდა ამას. უფიცობას ამისთანა
აშკარ და მცირე ცოდნაში ვერ დაეცისრებთ აეტორს,
ამიტომ რომ მე-III-მე კლასის გიმნაზიელმაკი
იცის, რომ ფრინველიც ცხოველია. რაც შეეხება და-
უდევრობას—ეს მისალიდნელია, იმიტომ რომ, რო-
გორც შემდგენ მკითხველიც დაინახავს,—აეტორის
ნაღი ცოდნა (უცაცრავათ ამ სიტყვაზე) და ბუნების
მეტყველება ძალიან შორი-შორს არაან, და თუ
ეტორმა განვებ დაჭო ასე ეს ცნებანი, მაშინ იგი
ღრმათ ცდება. საქმე იმაშია, რომ მდამბო ხალხი
ხმარებს ცალ-ცალკე „ცხოველს“ და „ფრინველს“
და თავის თავს ანვარიშს არ აძლებს იმ გარემოებაში,
რომელზედაც ჩვენ მიუფითთეთ ზემოთ. იმის მაგიე-
რათ, რომ ი. გოგებაშიღის ხალხის ცოდნა ამ საე-
ნის შესახებ დაერღვია და მიეწოდებია თავისი უე-
თესი ცოდნა, იმან თავისი აზრი დაუმორჩილა ხალ-
ხის ზღაპარს. ჩვენ ამ გვარ საქციელს უარს ეყოთ.
ჩვენ გგონია, რომ ყველა უნდა ცდილობდეს იმას,
რომ ხალხს მიაწოდოს იმისთანა ცოდნა, რომელიც
დატარებულია სამეცნიერო დარჯაკში, სადაც შესა-
ძლებელია, ვიმოვრებთ. მხოლოათ ამ გვართ შეი-
ძლება, რომ კაცმა თავის ნაღ ცოდნას კრიტიკული
თვლით შეხედოს. ჩენის აზრით, დიდ ნაკლს შეა-
დგენს ადამიანის ის ყოფა-ქცევა, რადესაც იგი მდა-
ბო ხალხის უფიცობას ტაშს უქრავს, ამიტომ რომ
აჰას ერთობ გამკყენელი შედეგი მოდევს... ეს მე-
ორე მიზეზი იმისა, რომ ჩვენ შევინებთ აეტორის
შეცდომას ცხოველების და ფრინველების შესახებ, რა
ეს და რა სხვა: მთელი წიგნაკი აშენებულია არეულ-

დარეულ გეგმაზე, ანუ უკეთ ვთქვით—წიგნაკის მასალა ყოველად მოკლებულია საქირო გეგმას. ავტორის ისე დაულაგებია მასალა, როგორც მოითხოვდა მისი გეგმონება; და რომ ეს ჩვენი აზრი ქვემოთაა და მკითხველს უფასუვდება არ ეგონათ, ამისთვის მივმართოთ თქვენ წიგნაკს. წიგნაკში მოთხოვნილებული მასალა ამ გვართ ანის დალაგებული: ზარბი, შხამიანი გველა (აი, ადამიანის ნამდვილი მეგობარის), ჭოტი, თავი (ესეც ადამიანის მეორე გულითადი მეგობარის), ბელურა, თხუნელა (!), ღამურა, მერცხალი (!), შემდეგ რამოდენიმე ფრინველია—ბაყაყი, შემდეგ ისე ფრინველები.. სწორეთ ამზე იტყვიან: საიდან საიდან, წმინდა საბაო! ავტორის რომ სერიოზული მოზანი ჰქონდა და სერიოზული მწიგნულობა მიეცა თავის წიგნაკისათვის, მაშინ იგი მასალას სულ სხვა წარათ მოექცეოდა; იგი ჯერ შეიძინდა საქირო ცნობებს ბუნების მეტყველებიდან და მერე ლა საჯაროთ გამოაცხადებდა თავის წიგნაკს. ამ შრომის დროს,—ყოველი საქიროსი და ნაყოფიერისა,—ავტორი დაინახავდა, რომ ზოლოდია (როგორც მეცნიერების სხვა შტონი) თავის მასალას სისტემატიურათ დაყოფს, ანუ ადგენს ბუნებითი კლასიფიკაციას; ეს უკანასკნელი მდგომარეობა იმაში, რომ ცხოველთა მიფლ რაოდენობას დაყოფენ ბუნებითი ჯგუფებათ ავტულები და გვართ. რასაკვირვებია, საერთო ავტულება მიგვითხოვს ცხოველების ერთ-გვარ ცხოვრებზედაც. ამ აზრით რომ თვალთ ვადევლოთ ი. გოგებაშვილის თხზულებას, მაშინ მის მასალას ჩვენ დავლაგებთ ასე: 1) შვერის მკამელი: ზარბი, თხუნელა, ღამურა 2), ბელურა, ბულბული, მერცხალი, და 3) ქვეწარმავალი ბაყაყი. ჩვენ იმტომ ვადგევართ ამ აზრს, რომ მეცნიერული კლასიფიკაცია, სხვათა შორის, აჩვენებს ადამიანს თან-და-თანობას და მკაცრ მოსაზრებას, რასაც დიდი მწიგნულობა აქვს ადამიანის განვებით განვითარებაში. მაინც-და-მაინც წიგნაკი დაიწერა და ის გავარჩიოთ, რაც მოპოვება მასში: ჩვენ განვიხილოთ ის, თუ როგორ ახერხებს ავტორი ცხოველების სათითაო დასურათებას და მათი მწიგნულობის ახსნას. იქნება, ამაში მაინც მკითხველის გულ მოივოს ავტორმა? მაგრამ ეს სურვილიც ამაოთ რჩება... დავიწყეთ ზღარბი და.

ამისათვის, რომ მკითხველს დაანახოს ზღარბის უსაქიროესი მწიგნულობა მოსავლისათვის, ავტორი მოგვითხრობს ზღარბის ცხოვრებიდან სწორეთ ოთხ ზღარბულ მოთხრობას; მაგრამ ზღარბი ანის და

ზღარბი. საზოგადოთ, ეს ზღარბები არავითარ რიგან კლანას არ აძლევენ მკითხველს; მართლა და, რა საქირო იყო მკითხველისათვის უსადა და უმნიშვნელა ლაპარაკი ენაზე და მოჯამავიერზე, რომელსაც სათიხვევ ეძინა, ისიც მთავარიან ღამეში, თითქოს მთვარიანი ღამე რამე ნუგაშს აძლევდეს მოჯამავიერს?... 4) მკითხველის ყურადღებას ჩვენ მივაქცევთ იმ მოთხრობებზე, რომლებსაც, ჩვენი აზრით, თავისი, თუმცა მეტათ მკირე, მწიგნულობა აქვს ამ წიგნაკში. წაიკითხეთ მე-4 ე და მე-5 ე მოთხრობა; პირველში ლაპარაკია შხამიანი გველზე; ხოლო მეორეში ზღარბის ბრძოლაზე ამ გველთან. გველზე მსოფლოთ ის არის ნათქვამი, რომ ყმაწვილებმა და, რასაკვირვებია, დემეტრემაც დაინახეს თუ არა ეს ცხოველი, ძალიან შეეშინდათ და მტერს ზურგი უქციეს... ზღარბის ბრძოლას გველთან გადმოჰყოფენ შეწვიერ მთვარიან ღამეს სათიდან დემეტრე სულელური სახით (ნახე სურათი); რასაკვირვებია, ზღარბმა—ავტორის სურვილისამებრ—ნაკუნაკუნათ აქცია გველი, თითქოს ეს ყოველთვის ასე ხდებოდეს... დახან, რომ შშიზარა დემეტრეს სკევილამდის დაახსოვდებოდა ეს ამბავი და მივიჩნის, რომ ზღარბს ძველი არ აუფო... ჩვენ აქ უნდა შემოვიტანოთ ის მოსაზრება, რომელზედაც უნდა იყოს დამყარებული სხვა-და-სხვა ცხოველების მწიგნულობის ახსნა. ავიტოოთ, მაგალ., შხამიანი გველი, რით ამტკიცებს ავტორი, რომ მისი მოთხრობის გველი შხამიანი იყო? იმით, რომ იმ გველს „ზურგზე შავი ზოლი (ჩვენ ჩახანებთ) ჩაუდგედა თავიდან დაწყებული კულამდის (გვ. 9)“. თუმცე ნუ იტყვიეთ, შავი ზოლი ყოფილა მუუცდომელი ნიშანი შხამიანობისა მეცნიერებაში ეს ახალი გავონება და ამტკიცებს ავტორის სრულ უფიცობას.

დ. აღბანელი.

(შემდეგი იქნება)

„სველის“ კორესპონდენციები.



ასეთი, ნუ თუ ჩაიღებ ისე საუფლოში და დაეიმარხო, ჩვენთა კანთო შეწვიერო, რომ ვეღარ გინახო... ასე და ამგვარი ქება-ღაღებით და ეპიტეტებით შეაქებდენ და ნატრობდენ კანეთის ნახ-

3) თუ გინდ ფრთა-სეკას მოდგმას ეკუთნოთ, თუმცე მწერებით იგებება.

4) უგატრავთ! აღმოჩნდა, რომ მთვარიანი ღამე ამისთვის იყო საჭირო, რომ დემეტრეს (მოჯამავიერს) ზღარბის და გველის საშინელი ბრძოლა დაენახა...

ვას ჩენი პოეტნი. მართლაც და ძნელათ თუ მო-
იზოვება ისეთი კუთხე ქვეყნისა, რომელიც კახეთს
ჯობდეს ბუნების სიმდიდრე-სიკეთესით! გომბორის
ზურმუხტის მთა და ალაზნის მობიზინე ველები, ხე-
ლის-გულსავით გადაშლილები, ზედ გაწმენებული
სოფლებით და ბალ-ვენანებით საუცხოვო სანახავია
ამ ზაფხულზე! აქ უნებლით თქვენ გავონდებთ
პოეტის სიტყვები: „ჟიჟ, რა ქვეყანაა, რა შეენის
დამატებობელი სულისა,—გზამ ვარდს ვაღებევია
გამალალებული გულისა“.—

ბევრ სხვა საკეთეთა შორის ერთი განსაკუთრე-
ბითი სიკეთითა დაესაჩუქრებია ბუნებას ჩენი
კახეთი. ეს ვახლავთ რიყე-ხეცების სიუხე. რაკი ერ-
თის მხრით მალღობი ტყიანი ადგილია და ამას ეტა-
ნება წვიმა, ხოლო მეორე მხრით დაცემული მიწა-
დარი; ამ მალღობიდან დაქანებულ ნიაღვარს ერთხელ-
ვე ფართით გაუშლია თავისი ნაპირები და დიდ მან-
ძილზე გაურყინია, წაუხდენია შეწეიერი სავენახე ად-
გილები და ახდენს დღეს მშათ გაწმენულსაც! ნუ
თუ არ იქნებოდა, რომ ტირიფის დარკვით ვამაგ-
რებინათ ნაპირები, როგორც ამას ჩაღიან სხვა ქვეყ-
ნებში?

დღეს თელავს და სიღნაღ-შუა მოგზაურობა
განძვლებულია. გამუდმებული წვიმებისაგან მოვარდ-
ნილ ნიაღვრებს ჩაუკუმ-ჩაუღობივებია და ქვე-არლით
გაუყვია ზემოთ ხსენებული რიყე-ხეცები, საითყენაც
თელავ-სიღნაღის გზა გადის. თუმცა მუდამ დღე მამა-
სახლისისაგან გამოვრკილი მუშები ადგიან და აკე-
თებენ—მავრამ, აბა, რას გახდება აღმანიანი შეუბრა-
ლებელ სტიქიონის ძალასთან; ხელ-ახლათ წვიმა
მოდის და კვლავ ახდენს!.. დაზარალდა მრავალი მა-
მულები და ზოგისა სახლებიც დაიქცა აედრები-სა-
გან.

შარშან ზომ უწამლობის გამო მარტო საუფლის-
წულო მამულებში ყოფილა კარგი მოსავალი; დანარ-
ჩენებს მთლათ წახდენიათ, წელს თუმცა ყველანი
გაფაციკებით წამლობენ, მავრამ აედრები ხელს უშ-
ლიან: ახალ-წამულზე მოდის წვიმა და მთლათ აც-
ლის წამალს. — იქნება იმ ქალთა გუნდმა გვიშველოს,
რომელსაც სოფლიდან-სოფელს შეხედებით: თითო
კვირას ფეხ-შიშველები 40—50-ამდე, ყველა ჰასკის
ქალები „ლაზარზე“ დადიან და მღერიათ: „აი, ლა-
ზარე, ლაზარეო, ცას ღრუბელი აჰყარეო, აღარ გეინ-
და ტალახო, დმერთი მოგვეც გოროხიო“.—ჩვენ
კახელ კურთხეულ-დიდებამდი ეტყობა სწავლის უშეს
ჯერ არ შემოქონათებია!

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ უკვე 80
კაცმა თანხმობა გამოაცხადა და ახლო მომავალ-

ში გაიხსნება ქ. თელავში ქართველთა სააღმ-მიცე-
მო ამხანაგობის „შუამავლის“ განყოფილება.

ტ. ჭობარელი.


სად. განჯა. აღდგომის მეორე დღეს, სადგურის
კლუბის დარბაზში, ქართული სცენის მოყვარეთაგან
ქართული წარმოდგენა იყო გამართული, საქელ-
მოქმედო მიზნით. წარმოდგენის ა. ცაგარლის ცნო-
ბილი კომედია „ციხიბრელი“. წარმოდგენამ საქარია-
სათ კარგათ ჩაიარა; დამსწრე საზოგადოებაც კმაყო-
ფილი დარჩა და კიდევაც ვეთხოვეს ხშირათ ამანი-
რი წარმოდგენების მართვა. ჩვენ არ ჩამოეთელით,
თუ ვინ როგორ ასარულა თავისი როლი; დღე, ეს
ვარემ მეყურებელმა დააფასოს, თუ საყურადღებოთ
იქნა! ჩვენ კი, ჩვენ საზოგადოების მხრით დიდ მაღ-
ლობას ვუცხადებთ ამ წარმოდგენაში მონაწილეო-
ბის მიღებისათვის: ქ-ნთ ღიზა და ნინა მესხიშვი-
ლებს, ნინა თარხნიშვილს, ოლინკა ყაზბეგისას, ლი-
და გენძეხაძისას და ბ-ნთ: ს. ყაზბეგს, ე. გენძეხაძეს,
დ. ბაქრაძეს, ე. გეთაშვილს და მერაბოვს, რომელ-
თაც მსურველე მონაწილეობა მიიღეს წარმოდგენის
გამართვაში. განსაკუთრებით მაღლობის ღირ-
სია ბ-ნი ნიკო გოციოძემ, რომელმაც არ დაიზარა
უსასყიდლოთ თბილისიდან მოსვლა და პეტელს რა-
ლის თამაშობით დიდთ ასიამოენა განჯელს საზო-
გადოება; მართლაც-და ისე შეწეიერთ შეასრულა,
ზემოსხენებული როლი, ბ-ნმა გოციოძემ, იმდენი
აქინა დამსწრე საზოგადოება, რომ მეტი აღარ შე-
იძლებოდა. იმედა, ბ-ნი გოციოძემ შემდეგშიაც არ
დაგვიწყვიტებს და კიდევ უფრო მოიგებს აქაურების
ფულს; ხოლო თბილისელეთან ნურას უკაცრავათ,
რომ იმათი საუნჯით ჩვენ პროვინციელები ესარგებ-
ლობთ; ჩენი რა ბაზია, თუ დარამატულ სა-
ზოგადოების გამეგობა არ აქცეეს ყურადღებას
ახალგაზდა ნიკიერ არტისტებს.

წარმოდგენა, როგორც მოგახსენეთ საქელ-მო-
ქმედო მიზნით იყო გამართული, რომლიდანაც ხარჯს
გარდა დარჩა 30 მანეთი. რაკი ეგრე ცოტა შემოსა-
ვალი დარჩა, ამიტომ ეს ფული ჯერ-ჯერობით და-
ნიშნულებისამებრ არ იგზავნება, რადგანაც ამ ცო-
ტასანაშუ კიდევ ვაპირებთ წარმოდგენის გამართვას და
ფულს ერთათ ვაგზავნით, რაც თავის ღრუზე გა-
მოცხადებული იქნება. კადევ ვაპირებთ წარმოდგე-
ნის გამართვას-მეთქი—მოგახსენეთ; ხოლო დიდთ
უშლის ხელს სცენის მოყვარეთ, წარმოდგენების გა-
მართვაში, წარმოსადგენი პიესების უქონლობა. იქენ-

ბა ვინმე თქვას: საიდან გავაინათ, თუ კი არავინა წერს და არ მოგვეპოვებაო! შემცდარი აზრია, ბატონებო. პიესები ბევრი გვაქვს დაწერილები, მაგრამ ისინი ან ავტორს უწყევია დაუბეჭდავი და ან დრამატული საზოგადოების კანცელარიაში ინახება.

ამნაირათ, სცენის მოყვარენი იძულებულნი არიან ერთი და იგივე პიესა რამდენჯერმე წარმოადგინონ და ამით ადგილობრივ საზოგადოების ყურადღებაც დაჰკარგონ. პატიეცემულმა ვასო აბაშიძემ გამოსცა პირველი წიგნი — „პანთეონი“, დაგვირდა შემდეგ წიგნებსაც, მაგრამ საუბედურათ იმ ერთი წიგნის მეტი აღიარება ჩანს. იმედია ამ გარემოებას ყურადღებას მიაკცივენ ჩვენი წიგნების გამომცემელნი და განსაკუთრებით დრამატული საზოგადოება. კარგი იქნება ეს საზოგადოება რომ მიზანძღვეს საზღვარ-გარეთელ სახელმწიფოთა იმნაირ საზოგადოებებს, რომელთაც მოვალეობათ გაუხდიათ ყოველი პიესა წარმოდგენის წინათ დასტამბონ, რომ წარმოდგენის დღესვე ათასობით თეატრშივე გაიყიდოს. ჩვენში თუ ათასობით არა, ათობით ხომ მართლა წარმოდგენის ღამესვე გაიყიდება და დანარჩენი მოეფინება ჩვენს დება სოფლებს, რასაც რალა თქმა უნდა დიდი სარგებლობა მოჰყვება. ღმერთმა ქნას რომ ეს ხმა არ დარჩენილიყოს ხმაღ მღალადებელისა უდაბნოსა შინა.

ს. ლომიძე.



განზრახული თვალის ახვევა.

(წილი რედაქციის მიმართ).

სება მიბოძეთ, როგორც სამეგრელოს შეიღობა, განემარტო სიტყვა მარჯალისკუსს“ მნიშვნელობა და შეძლებისა დაგვარათ გავითვალისწინო ის სასაცილო, თან საწუხარო, უადგილო მითქმა მოთქმა, რომელიც ატებს, „საშინლათ განკიცხულ მეგრელების“ წარმომადგენლებმა. პირადად მე სხვებზე ნაკლებ არ დარჩებდი გულნატკენი, რომ ვინმეს მთელი სამეგრელოსათვის შეურაცხყოფა მიეყენებინა, მაგრამ ამ ქვათ არც საბუთი და არც უფლება მაქვს შევეუწყო ხმა ზოგიერთ „შელახულის მეგრელთა კენსას“... „მარჯალისკუა“ მეგრულათ ნიშნავს გლებს:

(ყინო სკუა—აზნაური; თავად—სკუა—თავადი) მაგრამ ხშირათ აზნაური მიმართავს აზნაურსეც ამ სიტყვით დასასასათებლათ მოწინააღმდეგეს ზნეობრივ და გონებრივ ავლა-დიდებისა. ბ-ნმა გი-რ-გი წერეთელმა სწორეთ ამ მნიშვნელობით იხმარა სიტყვა „მარჯალისკუა“, რაც ჩანდა მისი წერილის შესაძარსიდან და შემდეგ განმარტებიდან ბ-ნ დუტუ მეგრელის თხოვნით.

პატიეცემულ ვაზეთებმა „ივერიამ“ და „სწობის ფურცელმა“ არ ისურვეს წერილის შესაძარსის გაგება, გვერდი აუარეს გულ-წრფელ განმარტებას და შეიძლება რაიმე ანგარიშითა და სარგებლობის ძიებით შეჩივლეს მეგრელებს: „ჩვენ-მეგრელები ბ-ნ გიორგი წერეთელმა სადღლანაც მოთრეულათ მოგვიხსენია, ვილაც ხეჩავოგებთან ერთათ ერთ ტუაში მოგვამწევიდით, მეგრელები ჩვენი (ქართველების) სისლ-ხორცი ძმანი არიან, ჩვენთან ერთათ ყოფილნი კირსა და ლხინში, ჩვენთან ერთათ ძლეულნი და გამარჯვებულნიო“... ვაზეთებს აყვენ ბ-ნი დუტუ მეგრელი და კნ. დრია ფაღავა. მე არ ვეკისრებ პატიეცემულ ვაზეთების საქციელის დაფასებას ამ შემთხვევაში, და განხილვას, სანამ საქიროება არ მოითხოვს, „განკიცხულის მეგრელების“ წარმომადგენელთა წერილების შესახებ, ვიტყვი მხოლოთ, რომ ზემორე ვაზეთ, „ივერიიდან“ ამოწერილი მარჯალიტები ერთი ნიმუშთაგანია იმ მაღალ ფარდოვან ცნობილ ფრაზებისა, რომლითაც ჩვენ ბანკებს საძირკელის მღრღნელი ბაქტერიები გაუჩინეს, — რომელსაც ხმარობენ ჩვენში განზრახულათ, ფების ამყოლთა შესაძენათ და საზოგადოების თვალების ასახვევათ...

პატიეცემულ დუტუ მეგრელმა და კნ. დ. ფაღავამ კი ვერაფერი შორს გამჭერტელობა გამოიჩინეს... „დროა დეანებოთ თავი ოცნებათ და, დაუბრუნდეთ, მოვიგონათ ფაქტებიო“ — ამბობს ერთ აღიავს გამოჩენილი კრიტიკოსი კარელილი. მოვიგონათ ჩვენც ფაქტები: თუ მართლა „განკიცხულის მეგრელების“ წარმომადგენლებს სურდათ ღირსეულათ დაეკეთა მეგრელების ინტერესები, სად ბმანდებოდენ მაშინ, როცა თვით მეგრელებმა მთელს სამეგრელოს (რა საკვირველია „განკიცხულის მეგრელების“ წარმომადგენლებსაც) საჯაროთ უთხრეს: შენ საერთო (ქართველებთან) საქართველოსთან არაფერი გაქვსო, მეგრელების დედაენა მეგრულია და


არა ქართულია. მე მგონია, აქ იუო საჭირო ისტორიულ წარსულზე მითითება, აქ უნდა მოეყარა თავი სამეგრელოს გონებრივ ძალას.

გული წყდება ცხოვრების მეთვალყურეს, როცა ხედავს, რომ ჩვენში საზოგადო „იარლიკით“ ბერი ემსახურება თავის „მეს“, ხშირათ, სულ უბრალოთ იხარჯება აუარებელი ტყვია წამალი და გავრთების ფურცლები იესება ყოვლად გამოუდგვარ ლანძღვითა და ბეზღობით...

საუკეთესო მამულის შეიღნი, უხვათ დაჯილდოებულნი ბუნებისაგან ნიჭით, ხალხის სამსახურით მოწოდებულნი, ნაკლათ პრინციპულ შეთანხმებისა და შრომისა ერის უმრავლესობის საკეთილდღეობით, ერთმანეთს კრიკაში უდგანან და წყწენ.

არ ეიცე რამდენათ სარგებლობენ თვის მიერ გამოწვეულ მითქა-მოთქმით, მაგრამ უმრავლესობისადმი გული რომ არ შეტყივთ — ეს კი ცხადია.

ღ — რი.



გ ა კ ე რ ი თ .

(გ ზ ა - დ ა - გ ზ ა)

თფილისიდან ბაქომდე. — ბაქო. — რამდენიმე დღე ბაქოში — ბაქოდან ლენქორანამდე. — გემით მოგზაურობა. — ლენქორანი. — მისი ადგილ მდებარეობა. — ბუნება. — ჭაბ. — მგსოარებათა რაოდენობა. — მკვადრთა ცხოვრების სახისა. — ლენქორანის ქართველობა. — მეორე ციმაირი. — ლენქორანის ცხელი წყლები. — მათი მომავალი. — სერთო დაუდგერობა. —

II *)



იქრი ხომ მალია, ჩემო მკითხველო, და ახლავებ ბოდიშს ვითხოვ შენ წინაშე, თუ ნაეთის კოშკებიდან ბაქომდე მანძილთან შედარებით ჩემი ნაფიქრი ვაცილებით გრძელი გეჩვენება... დიან, ჩვენი მატარებლის ოხერა-ქმინვას ბოლო ეღებოდა, სულ მთლათ გადავიციწყდა, რომ რამდენსამე წუთს შემდეგ ბაქოში მივიღოდით და დალაულულ დაქანტულნი

დავისვენებდით. თავში გამიელვა ერთმა საკითხავმა: რა თანამედროვე ცხოვრების აზარმაკი მეთქი?.. „ფული, ფული, და ფულიო“ მომესმა აქეთ-იქიდან. ჰი, ჰი, რომ ასეა!..

მართალია, სიტყვით ფული „ხელის ქუჭყია“, მაგრამ საქმით კი... „ვეისაც ფული აქვს, კაციც ის არის, ვისაც ფული აქვს, თავადიც ის არის, აზნაურიც, ბატონიც და პატრონიც“. „ფული გაქვს, მომწონხარ, პატებს გცემ, არა გცემ პატებს და შომისიციდი, გაქვს, გადიდებ, რომ იქნება ერთი ორი გროში გადამომიღო“. „არა გაქვს ფული? მას, აბა, რა კაცი ხარ! ევრც სწავლას მიიღებ, ევრც ნაცნობებსა და მეგობრებს იზოვი, ევრც სახელს დაიმსახურებ, ევრც ბატონს აამებ და ევრც ბატონს!.. ყველა ერთათ და თ-თაეული კერძით მარტო სარგებლობის თვალთ აფასებს ერთუროსა და ევრცხლით წონის ერთმანეთსა“. ასეთია, სამწუხაროთ, აზრთა დენა და გულისთქმა თითოეულის ჩვენგანისა თუ არა, უმრავლესობისა მინც. ასეთია აწინდელი ცხოვრების ელ-ფერი და საიდუმლოება!

მართალია, ერთი შეხედვით, ზემოთე თქმული ურთი-ერთობა, როგორც ხალხთა, ისე კერძო პიროვნებათა შორის ჩვენს დროსა, და ჩვენში თითქოს უფრო ხელდაფარებულია „გაკეთილშობილებულია“, თუ კი ასე შეიძლება ითქვას, რადგანაც ბევრი ჩვენგანი სიტყვით „ლიბერალობს“ და საქმით კი სისხლსა სწოვს სხვასა, ბევრი გულით-ღარიბი და სულით დაბალი საქვეყნო იკვების „ქველ-მოქმედებას, თუ კი როგორმე გაიმეტა რამდენიმე გროში საზოგადო საქმისთვის, რადგანაც, ეიტყვი კიდევ, თითქოს უფრო ბევრი ჩანს მუშა-ხალხის გულ-შიმატკივარი და საქვეყნო ევრცხლ-მოყვარებობა (უხავი, მაგრამ, ღრმით რომ ჩაუფიქრებდეთ, ნათავინახეთ, რომ ზემოთ მოყვანილი „ფულის ხოცობა დიდებო“ თუმცა ბევრის ქვენა-გრძნობის გამოშხატელობა, მაგრამ გადაჭარბებული მინც არ არის. ფულის, სიმდიდრის მოხეტქვას რამდენ-მესგან და უმრავლესობის ვალატკებას მეტის მეთი გამოთახსირებელი, გამოშთაყვანებელი ზედ-გაუღუნა აქვს უმრავლესობაზე. იგი ისეთი ამოუყარავი „მუცელია“, რომლის გასაძღობათ მილიონობით ხალხი მუშაობს, თავსაკლავს, ნადირდება, მხეცდება...

მას შემდეგ, რაც კინზა აბელი მოჰკლა და ქვე-

*) იხ. „აკადი“, № 17.


ყნათ პირველი კაცის სისხლი დაიღვრა, მას შემდეგ, რაც ადამიანის შტრანმა თვალმა უკლავერს სარკე-ბლობის მხრით შეხედა და მეორე თვისევე მსგავსი გასაკრეჭ ცხერათ დანამ, მას შექვქ აი-ღარია ხალთა ცხოვრება და ძალ-მოპირება ამ ფრთა ვაშალა რომელსაც ფისიკურ ძალს ვარდა მალე სხვა ღონე, სხვა ხეჩი დაქირდა და, აი, აქ თავი ამოჰყო სიმდიდრის მოხვეჭამ... სადაც ძალამ ვერ გაქრა, იქ ფულს გაჰკრეწენს, სადაც ერთი თვალი და ყურა ვერ გაწედა, იქ მალა-ნაზიბი დაქირებულა თვალი და ყური დაუკურდა. ერთმა კაცმა... ერთმა სახელში-ფომ... ერთმა ერმა დაიწყო ფარე-შობა და ვაზნა დაღ-პატარაბა უფლებებთ, მონა-ბატონობა! ამიტომ ყოველ-გვარა ხალხის დამპყრობეგელი, მაკ-რამ ბატონთავე ნებადართული, ცრუმორწმუნეობა ყოველთვის ფეხს იკიდებდა და ნათელი აზრი კი იდევნებოდა, კაცის სამართლიან მოთხოვნილებას კრიკაში უღდენ და ბატონის გემოვნებზე მიჰყავდათ. ვაირყენა, ვადაბირდა საუფუნოების განმავლობაში ადამიანის გემოვნება—მიდრეკილება და, ვინ იცის, რამდენი იფათურა, იწეულა და იდავა კაცობრიობის აღმაფრთოვანებელმა თავისუფლებამ, ვიდრე ასე-თუ-ისე ფრთას ვაშლიდა, ასე-თუ-ისე დააწყებდა მოჰქედებას.

რომის იმპერამ სიკოცხლე გაუქარა თავის ქვეშეკრდამთა, მისი გალაღებელი „კეთილშობილ-ნი—პატრიციები“—არა რომელებს მხეცებათ თე-ლიდენ. რამდენი სისხლი დაიღვრა, რამდენი ადამი-ანი დაიკლა, რამდენი იმსხერალო რომელთა გულ-ზედაღებამ! ძველი, დიდებული საბერძნეთი განად-გურდა, მისი ხელოვნება და ფილოსოფია დეცა; ადამიანის კეთილი მისწრაფება ჩაქრა, მიიღია. მარ-ტოადენ ორგვარი აზრთა დენა ვაბატონდა: ერთი, უჭიდრესობა, იძახდა, ჩვენ ვართ დემოკრატები ამა ქვე-ნისანი და კერებებს იღვამდენ და მეორენი კი უმძკ-ლეობა, ისე იყო გზა-კვალ არეული, დამუთხალი და სასოა მიხდილი, რომ თავისი „ადამიანობა“ არც კი მოსულიათ ფიქრათა და მონობაში დაპრჩეილი ცრე-მლით ალტობდა ბატონთა კერებში, კვარცხლ-ბესა და ენითა ლოკავდა ნატურვალსა მთოსა!.. ვადიდა დრო, რომის დიდებულთ აზროვნება დაჰკარგეს: ფუ-ფუნებამ დაასუსტა იგინი და სიდიდრემ ანდრძი აუ-გო, გარყენილებამ სხეული დაუძახუნა და ღვინო-სასმელებმა ამოარჩო... მისუსტდა მონა ბატონთა შე-მკაცრობეგელი ჯაჭვი! ხალხი წუხდა და იტანჯებო-და. ამ დროს აღმოსავლეთითი ვაისმა მძობა ერთო-ბის, თავისუფლების მქ-დაცებელი ხმა იესოსი და გა-მოფხიზლებულმა „მონათა ბრბომ“ წალეკა მთელი რომის იმპერია, გაქრა მისი ბატონობა და ძველ-

ბურ „მონობასაც“ ბოლო მიეღო, გაიღვიძა ხალხ-მა, უმრავლესობამ ხმა ამოიღო! მაგრამ დიდხინით გზა-ანგეული კაცობრიობა, რასაკვირველია, ასე უც-მათ ვერ ვადახალისდებოდა. ძველი ჩვეულება, ძველი ცხოვრება ახალ კანში უარესი თუ არა, ნაკლები სა-მძიმო მიანიც აღარ იყო. „მონობის“ ხანას მოჰყვა ხანა თვით-მპყრობელობისა, ბატონ-ყმობისა. ძველი, უსულ-გული სარწმუნოების ნაკლები გამეფდა ახა-ლი ღრმა აზროვნებით სავსე სარწმუნოება. მაკრამ ეკლესიის სახელმწიფოსთან შეერთებას შექვქ; უკანნი წაიშობადენენი ლუთარბრევის სწეულსა, სულ სხვა ჰანგზე მოჰყვენ სიშეღას. იმ ლუთარბ-ვი მოძღვრის მამდევართ, რომეულსაც იმდენი ალა-გიც კი არა ჰქონდა „ესადა მიედრიკნა თავი თვისი“, მთელი ქვეყნის დაპყრობა მოინდომეს. ამა მსოფ-ლიოდან ხელისაღების მქადაცებელმა რომის პაპებმა და კათოლიკეთა სამღვდლოებამ-მთელი ქვეყნის სო-მიდრის მოხვეკვა განიზრახეს მერე ვის დაწეენ თე-ზემ? უბრალოა, დაბალ, უიშისოთაც შევიწროებულ ხალხსა. და ამდენიც სრისეს და ქლოტეს ეს საკოდა-ეები, რომ რაგვარც იყო მიცოცდენ თვით-მპყრო-ბელობამდ. მათ თავზარი დასცეს მთელ დასავლეთ ევროპას და სხვაგან, საცა კი ხელი მიუწვდებოდა დადარტანეს და დაზარბაფეს, თვისი სამწყსო კასა და ხმელეთ შუა ჩაშოკიდეს და თითოც კი გარყენილო-ბა-ფუფუნებამი ატარებდენ სიკოცხლეს. „რეზუტოთა“ ორდენმა ჰქ „ნიკეიზიკამ“ კანაღამ არ ჩაქვლა მთელი მეცნიერება. ვაიესო ქვეყანა ქაჯებითა ღეშმაკებთა. კვლავ დაბნულდა ხალხის გონება. ცრუმორწმუნეობამ მოიკცა მისი გული... ფეოდალიზმი—ბატონ-ყმობა გვაროასანთა ომები, პაპის უფლებათა გაძლიერება, სამღვდლოების პარაზობა ხალხისა კი... კვლავ, სოც-ვა, ქლეტა, კოკონი და სარჩობელა, აი, მთელი შინა-არსი საშუალო ისტორიის ბნელის მხარისა! შუწუხდა მეტის მეტათ ხალხი, აზვირთდა, აღდვა დინარტული სიმათრლე, ხალხმა ხმა ამოიღო, ამას მოჰყვა სარწ-მუნოებრევი რეფორმები, რეფორმაციები; დასუსტდა კლერკალთა გავლენა, კონსერვატიზმს ფრთა შეე-კვეცა; ფეოდალიზმი დეცა, ადამიანობის პიროგენ-ბას პატევი დეცდა. თითქმის სულმთლათ გამოიკცა-ლა ქვეყანა,—მაგრამ... დღეს ეხედეთ, რომ მრავალ ტანჯული კაცობრიობის ბატონი ახლა ფული, კაპი-ტალია!..

ა. კვადეძე.

(შემდეგი იქნება)



მეგ თან წამიყვანეთ.



ებერელის ცივი და სუსხიანი დღეა, მთელი სოფელი თურ ზეწარში ვახეყული გამოიციქირება. ზოგი ნიჩბით, ზოგიც არნადით ხელში, ჩქარი ნაბიჯით ადიან ბანებზე გადასხვეტათ.

—„ბიჭო, ე ბანი დროით გადახვეტე, თორემ, ხომ ხედავ, ზენა ქარი სისინებს! თუ მოუმატა, მაშინ, ბანზე კი არა, კარზე გამოსვლაც ვაგევიქირდება.“

გამოსძახა მიხამ თავის მეზობელს, რომელიც ისე ზარმაცათ უსვამდა ნიჩაბს, რომ იმის დამნახავი კაცი იფიქრებდა: „სწორეთ მთელ დღეს ვერ ვაათავებს თავის სამუშაოსა.“

—„აბო, ეკითხე მიაბებო, მიტყევე და მოადგეო!“ სწორეთ შენითანაზეა ნათქვამი. აბა, რა შენი საქმეა, შეილოსანი! შენ ხომ მოარჩენილხარ შენ საქმეს და სხვისა რა დარდი გაქვს.—ცოტა არ იყოს, წყენით უსაპუხა მეზობელმა და უფრო ზანტათ განაგრძო მუშაობა.

—არა! მეკი მიტყემს და შენ შენი იცი—მიუგო მიხამ და ძროხას მიუბრუნდა, რომელიც ბოსლიოდან გამოვიდა და ქვემოთ დაეშვა.

—„დიდლოაოპო, დიდლო, შე ვერანო, საით ჯანდბისაკენ მიდინარ, წყლის გზა არ იცი?“—წაუარა ძროხას წინიდან, სხვა საქონელთან ერთათ გარეკა და თვითონაც უკან მიჰყვა.

ყველანი ჰხვეტავდენ ბანებს, ზოგს კიდევ გადაეხებტათ.

მათ შორის მოჩანდა მხალათ ერთი სახლი, რომელიც ნახევრათ იყო მიწაში ჩამძვრალი; დერეფანი კი მალლათ ჰქონდა წამოდგმული, სამი ალოზის კედელი და მეთხებც საზენაქროთ ლასტისა თიხით გალესილი, რომელიც ზოგ-ზოგ ადგილას აცვიენოდა და იმ ადგილებიდან თავისუფლათ შედიოდა ქარი და სიცივე.

აი, ამ სახლის ბანზე თოვლი ჯერ ისევ ხელოზლებლათ იდგა.

—ადე შეილო სალომე, ადე. ბანი გადახვეტე, თორემ წვეთი ჩამოგეცე—ეუბნებოდა ბაბაღე, დიდი ხნის ავთმტყუაფობისაგან მიხრწნილი და მისუსტებული ხმით თავის თორმეტ ცამეტი წლის გოგოს, რომელიც იმის გვერდით ზღარბივით მობღუნებულ იდგო.

სალომეს თუმცა კი დიდი ხანია ღვიძავს და კიდევ უნდა ადგობა, მაგრამ სიცივისაგან ვერ გაუხედინია; ახლა კი—დედის დაძახებავზე—უარი ევლარ მოახერხა.

მეთქარებით ლოგინში წამოჯდა, დაძინილი

ჩითის კაბა გადაიცვა და ლოგინში ხელების ფათურით წამოიძახა:

—„ი, იხერი თავი ჩითი რაღა იქნა?!. მაგრამ ცოტა ხნის ძებნას შემდეგ ლოგინიდან ამოიღო ძველი ჩითის კაბის კალთა და მოიხეცა. წამოაღვა, აბა-ქუტა ჩინხტისსაგან ცეცხლი, დაავლო ხელი კარბესუკან მასუღებულ ნახევარ ნიჩბის პირს და გამოვიდა კარში; მიხხედ-მოიხხედა, ნახა რომ ყველა იმის მეზობლების ბანი გადახვეტილია, თვითონაც ერთ წუთზე აეარდა ბანზე და ჩქარ-ჩქარა დაუსწო ხვეტა. ქარი თან-და-თან მატულობდა, ნიჩბით გადაყრილ თოვლს შიგ თე-პირში აყრიდა.

სალომეს, მთლათ შამაოწყოთლა ცხვირ-პირი და ტიტელა წვივები; ხელები დაეწვა, რის გამოც ავლო ნიჩხვი და გულ-ხელ დაქრებით მაგრა მოუჭირა თითის წვერებს ილილები და ფეხების ტყავა-ტყუპი დაიწყო. მერე აიღო ცალი ფეხი კაბას ქვეშ შეიშალა, ცალ ფეხზე დადგა. ამ დროს სალომე წყლიოდან გამოსულ ცალ ფეხ ბუმბულში შემალულ ბატს მოგაგონებდათ. კარგა ხანს ასე იდგა, როდესაც მოუთმა ხელეში, ილიიდან გამოიღო, აიღო ნიჩაბი და ისევ სისწრაფით ხვეტა დაიწყო.

—გოგო, სალომე!..—მოგსმა სალომეს მიხას ხმა, რომელიც წყლიოდან დაბრუნებულ საქონელს მოადგენდა.

—დღეს თქვენი პაღეღე მოეა.
—მერე, შენ რა იცი?..—შეეკითხა სალომე და თან სინარულისაგან თვალები გაუბრწყინდა.

—„წუხელი მაშაქემი მოვიდა ქალაქიდან და იმანა თქვა: „პაღეღე ვნახე და მითხრა: ხელ მკედა-რი ვარ, თუ ცოცხალი იქ ვიქნებოი!..“

სალომე სინარულით შეხტა, მალლა შეკუნტრულდა და დედასთან გაქცევა დააპირა, მაგრამ რა დანიხა, რომ ცოტლა ჰქონდა გადასახვეტი ვივიქირა: გავათავებ გადახვეტას და მერე ეტუცი დედაჩემსაო.

სალომეს სინარულისაგან ახლა აღარ ცივოდა და დაუსუნებლიე ხვეტავდა. რაკი მოჩნა თავის საქმეს, ჩამოიბრინა ბანიდან და კარებში შესვლისათნავე დაიყვირა:

—დედი, ჩენებანი თ მიხამ მითხრა: „პაღეღე დღეს მოეაო!.“

დედამ ამის გაგონებავზე დიდ ხანს ხმა ევლარ ამოიღო, თითქოს ენა მუცელში ჩაუეცრადო, გული გადუტრიალდა, სისხლი თავში ეცა და თავის ყუჩებს არ უჯერებდა.

სალომე კი ამ დროს გაღვიებულ ცეცხლის ნაღერდალში გათოშილ ხელებს ჰჭლავდა.

—გოგო, წყალი... ძლივ წამოიძახა ბაბაღემ, როდესაც ცოტათი გული მოიბრუნა და თვლები სალომეს მიაპყრა.

სალომე, ამ-ს გავიგებზე წამოხტა, მოურბენინა დედას ლიტრით წყალს, ჩააყლაპა ცოტა და პირზედაც მოუღეს თაბისი გაყინული ნაკირიანი ხელები.

ბაბაღემ ახლა უფრო გული ამდებშიდა, მღელღევარება შეიყენა და მისუსტებული მხით დაეკოხა სალომეს.

—გოგო, ხო არ მატუტებ?...
—არა, დედი, ეს არის ეხლა მისამ მითხრა; კმა-მა ჩემს უნახავს ქალაქშირა და იმისათვის დაუბარებიაო.—

დასაწყისა სალომემ და ისევ ბუხრისაკენ მიბრუნდა, დაუსწრა მტრევე ოღენე მმეტუტე ნაპერქ-ლებს, აქუნებდა ერთათ და თან ჩინჩხვარს ზედ აყრიდა.

—მაღლობა შენთვის ღმერთო, ზო სიკვდილის ჟამს კიდევ მეღირსება ჩემი პაულის ნახე!.. იქნება ჩემი სული იმას მოეღის...—წამოილაპარაკა ბაბაღემ და თავი წარსულის მოგონებას მისცა.

მითს პაღი.

(შემაღვი იქნება)

წერილი რედაქციის მიმართ.



აქონა რედაქტორო! კვალის* 11-15 №-ში დასტამულმა წერილმა ბ. გ. წერეთლისამ „სათი მივასწარფეთ?“ დიდი უსაფუძვლო მითქმა-მოთქმა გამოიწვია ავტორისადმი, როგორც მწერლობაში. აგრეთვე ხალხშიაც, ამ სამარცხინო ცილის წაშების მიხედვით ის განსა, რომ, როგორც უწეით, ხელზე და-ცხვავს იმ საფუძვლიან და გონივრული წერილიდან ერთი აზრობადავით სიტუაც „მარჯალისკუთ“. მის-მა მოწინააღმდეგეებმა ისარგებლეს ამ ზაწის შევლობით, ისეღეს და ევლი დაუჭირეს სიამართლის მითქმულს... ჩვენმა პატრეგემულმა გასეთ „იკრამი“ მოსიურვა, როგორც მას ხშირათ ჩვენმა, ამ წწილიდან აქლები გა-დაქვდა და მიაღეს კიდეც ამ სურველს... ეს ზაწის უბ-რლო შევლობა იმდენათ ვაჭებრა, გასუიდა და იქამ-დის უღმობადათ მოიქცა, რომ გეწო ზიწათ შეუღლს და მტრობას ეროვნული სხათათ მისცა. რაკი ბ. გ. გუ-ნიას ბ. გ. წერეთელმა „მარჯალისკუთ“ დაუმხარა, ამით ორ მბით შუა მტრობა და შური ჩამოავდგო, და მეტრე-ლები, იმერლები, გურულები სულ სსვა-და სსვა ერთი დაჭყოლო. მერე სხდ იყო ასეთი რამე, განს ბ. წერეთელ-

მა ის თქვა, რომ მეტრელები იტვიჭ პართელები არ არიანო?! ნუ თუ ასეთი აზრის და სიტყვის გაღაფუღ-მართებაც სკადრისა პატოასან დაღმანათავის?! ნუ თუ ასეთი სურტი მათით არის დღეს შეკავშირებული სსვა-და-სსვა გუთისს პართელები ურთი-ერთ შორის, რომ სკამრისა ბ. წერეთელმა რომელსმე მთავანს, კრამ პირს, რაჭველი, გურუღი, ანუ შეკავი უწოდოს, რომ მთელი ათასი წლობით გამტეციებული ურთი-ერთობა დაიწვეს?! ცოდა არ არის, რომ იმ ბ. წერეთელს, რომელიც ჩვენ და სკეთილ-დელოთ უცხო ტომ-თან შეკავშირებასაც გი გვიწავებს მთელ თავის სიგონს-საში, ასეთი ცლი დავწამოთ, ვითომც მას მეტრელები პართელებით არ მიანდეს?! განს ამ ჩვენს დროში შესა-ღებულადა, რომ მოიპაპებოდეს ასეთი პართელები სზო-გალო მოვლენე, რომ რომელსმე გუთისს პართელებს უთხ-რას: შენ პართელებთან საერთო არა გაქვს-არა?! და თუნდაც ვინმე გავიფა და უთხრა კიდეც, ნუ თუ ამითი ჩვენს ერთობის გავშირი შეიღასება?! არა, პატონებო! რაც მრავალ საუგუნევებს ბუხრებითათ განშტეცივება, მას ასე ავიღათ სვლაგონრათ ვერვინ დაშლის.

ვინ იტყვის, რომ ბ. გ. წერეთლის გონივრული წერილი „სათი მივასწარფეთ?“ არ დაზმინებუიოს იმ ზაწის შევლობას, რომელიც შემოებრა მას თვის წერილ-ში. ზგრამ მისი მოწინააღმდეგეების ფარსეგული გუ-ღისწერობა, როგორ თუ მეტრელებს გული არ შეტე-ვათ თბილისის კეთილ-დელოაზზეო—სომ სულ წრეს გადასულადა. იმას რაღა დიდი საზი და ღარი უნდა, რომ თბილისის კეთილ-განსწოზილობაზე და მის წარმატა-ზე უფრო გული შეტევათ იმით, ვისაც იქ ქონა, მა-მული, სსლდ გარი და სიმდიდრე აქვთ. ჭეშმარიტი გუ-ღის ტევილი და ზრუნვა ამ თუ იმ ქალაქზე, განს მამულეაზე, შეუღლია მსოფლით იმ ზიწის, ვისაც საკუთ-არი ინტერესი აქვს მისი. ვარდა ზღატონური და თუნდ ისტორიული სიყვარულის, ამა, რა გული უნდა შეტე-ოდავით იმ გურულებს, განსებებს, მეტრელებს და სსვა-თ, რომელიც თბილისში არ განწინათ რა? ვიყო რამე, რომ, ვისაც აზვითარი მატეორილური ინტერესი არა აქვთ, ისინი ვერც სკამათ იქნებანს გამსჭვ-აღუნნი ქალაქის წინ-სვლისათვის. მე პართელები ვარ, ზგ-რამ დაწმუნებული ვარ თბილისში შემსულე თათარი უფრო იღვწის ქალაქის წინ სვლაზე, ვინმე მე! ზგრამ ეს იმას გი არ ნიშნავს, რომ მე პართელები ტომის არ ვიყო.

მატეორილური ეკონომიური ინტერესი სსვა და ეროვნული სულ სსვა. ბ. წერეთელმა თუ ის თქვა, რომ: ჭეჭეაქვებს და თუმიანიშვილებს უფრო შეტე-ვათ გული თბილისის კეთილ-დელოაზზე, ვიდრე „სსა-გოგებს“ და „მარჯალისკუთს“, აქ გასაკვრელი დიდი აზოფერია, რადგანაც ავტორს მსედელობაში ქჭინდა,

ერთი მხრით მუშაველები და მეორე მხრით, უმამულო, უხანაზო, სომხები და ქართველები. მე ეს ჩემად თავით ასე გვაბე და ნათქვამივე უმძველათ ამ აზრით უნდა იყოს და არა ისე, როგორც გ. ა. კერძაძე და ანტონის ფურცელმა. განმარტეს და სხვებიც იმით ფაქტის მხმს აუკენ და იტყვი ამოამასეს, რაც „კერძაძე“ მასმს: მოლაღატე და ვერს ბნებით გ. წერეთელია; მაგრამ „ნეტარ აზრის დეკრულის სიმართლისთვის“. ნუ თუ მუხატრანეს უფლებას არ უნდა ქრანდეს, რომ თვისი მამულებისა და ქონებისათვის იზრუნოს? მაშინ ვინ უნდა იყოს მმართველი, მომუდელი, მზრუნველი თვისი სხლისა და ქონებისა თუ არა მუხატრანე იმისი? თუ იმის ბმანბთ, რომ სომხებს უსამართლობით, ჩარნობით და ბორატობით აქვთ შექმნილი თავიანთი დიდი ჭონება, ეს კერძაძე საბუთია, რადგანც სიმდიდრე უკვლავ უნს მაგ გზით აქვს შექმნილი ე. ი. სიმდიდრის შექმნილი უყოველთვის ერთი გზა: კანონიერი უკანონობა, სხვისი ნაშრომის დაბატრანება; მაგრამ აქ მატრს სომხები რა მუშაია, როდესაც უკვლავი ასე იქნებან, ვინც კი შეეგნებულნი არანს. რაც შეეხება ბრძოლას სომხებთან, ეს აუცილებელი სჭირბა მხოლოდ კანონიერი იანლით, ბრძოლა აუცილებელია, მაგრამ არა უკვლავ სომხებთან, არამედ მხოლოდ ჩარნებთან და მხატვრულებთან. ჩვენ დანატრულები უნდა მივიმართო და შეერთებული ძალით უნდა გაბრძოლოთ მხატვრულების წინააღმდეგ. მხატვრული ეინც იქმნება, სულ ერთია, ქართველი, თუ სომხი. ჩვენ უნდა დანატრული იმით მივიდეთ და დამხატვრული მტრით, რა თესლისაც იქმნება იგი, სულ ერთია. დასასრულ უნდა მოვასხნოთ, რომ უკვლავ უფრო აუცილებელი სჭირბა ბრძოლა თვით ჩვენსეკ უმეტრების, არარობის და უგუნურობის წინააღმდეგ. უმბრულებს ჩვენს მტრს ჩვენსეკ ერთს, მაგრამ „რა გუთნობა ჩვენს უგრძნბულებს და გაუინფრეს გულისს!“. ჩვენ მხოლოდ ჩვეულებათ გადაგვიტყვიან, მამამათაგან და მუნიციპალი მამული გვქმნით და მათ ცალი დაქვამათ“. ნეტარი ჩვენ, რადა გვიტრანს!

ჩვენის ქვეყნისა და ცხოვრების შესახები.— შივა და შივა ჩართული იქნება ხელოახლო ყოველსფერო, რაცკი ამ ორმულა წლის განმარლობაში მიწერია, —საქიერთი შენიშვნებითა და განმარტებით... ვ. ში ბზარვალიძისეკი, ხალხური პოეზია, ე. ი. შიარები, ზიარები, ძელი ამბები, ანდაზები, არაკები, გამოცანები, მელოაკები და სხვანი.

რადგანაც ამ უკანასკნელს მეტ მინიშნელობას ვაძლევ სხვა ყოველსფეროზე, ამისათვის ყველას ცხოვრებ, რომ შემწოდბა აღმუჯიანთ ამ დიდ საქმეში. საზოგადოთ ხატურ პოეზიაზე და მის შეყრების შესახებ ერკული სტატია იქნება პირველ ნომერშივე.

წელიწადში გამოვა თორმეტა წიგნი და ელირება თელიისში მცხოვრებთათვის 6 მან., ხოლო ქალაქ გარეთ გავზენით 7 მან. წელიწადში; ნახევარი წლითკი 4 მან.

ხელის მოწერა მიიღება

თელიისში: „წარაკითხვის გამავრც. საზოგადოების“ წიგნის მადზამბო შიო ქუჩაზექვლიანს (სათავაზნახურთა ქარვლავში).

იოსებ მეტეკელიაძის მადზამბო (ლორის მელიტოვის ქუჩა, ზუგდიდის სსს, № 4) და თფილისის ამსახატების „მუხატვლის“ მადზამბო.

„კრებული“

გამოდის 1897 წელს ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თამხამდე

კახეთი წლიურათ ღირს გაუზენელოთ 7 მანეთით, ხოლო გავზენით 8 მანეთ. ნახევარი წლით გაუზენელოთ 3 მან. 50 კა., გავზენით 4 მანეთ. სამი თვით გაუზენელოთ 2 მანეთ, გავზენით 2 მ. 50 კ. თათო ნომერი სამ მათურათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილნაწილათ გამოგზავნიან

ხელის მოწერა მიიღება:

თელიისში —არქურსნიელ ქარვლავში: „ქართულ სახალხო სამკითხველოში“, „წერაკითხვის საზოგადოების კანკელირაში“ და თვით „კვლავის“ და „ჯეჯილის“ რედაქციაში. (Артиллер. ул. д. Тамашева, взлѣзъ кадетскаго корпуса).

ქალაქს გარეშე: ქუთაისში: ვარლამ ჭილაძის, ე. ბეჟანიშვილის, ხეთურის წიგნის მკლავებში და ბნოლიდესთან ზელტერის წყლის ქარხანაში. —ბათუმში: მათე ნიკოლაძის ჭურბალგახეთის სააგენტოში. —განჯაში: ალ. მიკაბერიძეს. —ფოთში: იოსებ კობრეიძეს. —მისახლოებში (ხაშურში): იოსებ ფანკულაიას. —თიანეთში: ივ. ჩიხლაშვილს. —გორში: არსენ კალანდაძეს. —კობრეში: ვა. არაბიძის წიგნის მკლავში. —სამსახურთა: იარ. ჩხენიძე და მარტოკოჯინაში: ი. ნადირაძეთთან.

ქუთაისი.

მიტროფანე ლალიძე.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთელი.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.

ღირს ხნის სურვილი გამიზორციელდა და საკუთარი ჟურნალის გამოცემის ნება. რთვა მივიღე და ამ 1897 წლის პირველ ნომერისთვის, ყოველ თვე და თვე, გამოვა

„**კრებული**“

სამი ვანყოფილებით: 1-ში იქნება ახალი ჯგერ დაუბეჭდელი, ყოველკვირი ჩემი თხზულებათაგანი, 2-ში ჩემი თხვ-განდასავალი, ანუ ნახული და გავიანილი.